



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების  
სახელმწიფო მომსახურების სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

“-21-“      ---11---      2016 წელი

ეგზ. N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის  
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 72/36

2013 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

<b>სარჩევი</b> .....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები.....	7
საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება.....	7
კეთილმოწყობის სამსახურის მოსამსახურეებზე გაცემული ხელფასები, პრემიები და დანამატები.....	7
სახელმწიფო შესყიდვები.....	9
გამარტივებული შესყიდვები.....	27
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები.....	31
საახალწლო სახლები.....	32
ჯეთფათჯერ ჯორჯია.....	32
ჯინო პარკი.....	33
აბრები.....	34
კლდოვანი ფენის მოხსნა და გატანა.....	34
შეუსრულებელი სამუშაოები.....	35
მიწისქვეშა გადასასვლელები.....	38
ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“.....	41
სავალდებულო ავანსები.....	44
ჯარიმა-საურავების დარიცხვა.....	45
მატერიალური ფასეულობები.....	45

## გამოყენებული შემოკლებანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია - მერია;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური-კეთილმოწყობის სამსახური;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების საქალაქო სამსახური-შესყიდვების სამსახური;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური-საფინანსო სამსახური;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - საკრებულო;

ქ. თბილისში ვარდების რევოლუციის მოედნისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზა - საბაგირო გზა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო - სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

## შემაჯამებელი მიმოხილვა

- პრემიების გაცემისას არ არის დაცული თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის N05.11.128 დადგენილებით დამტკიცებული “ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა პრემიების წესის“ მოთხოვნები.
- თბილისის მერის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ადგილი აქვს კონკრეტულ თანამშრომლებზე წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტს, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატის.
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზე კაპიტალის შესავსებად თანხები გადარიცხულია ყოველგვარი დასაბუთებისა და შესაბამისი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნების გარე.
- კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებზე ადმინისტრაციის პროგრამული კოდიდან ნაცვლად სამსახურის პროგრამული კოდისა პრემიების, დანამატებისა და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების სახით 2013-2014 წლებში გაცემულია 1,221.9 ათასი ლარი.
- 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულებისა და შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებლებზე პირგასამტეხლოს სახით დარიცხულმა თანხებმა შეადგინა 129,5 ათასი ლარი, მაშინ როცა ხელშეკრულებების შესაბამისად დარიცხული უნდა ყოფილიყო 719.5 ათასი ლარი.
- 2013-2015 წლებში ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კომპანიებზე დარიცხული ჯარიმა-საურავები ბუღალტრულად ანგარიშზე „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ აღრიცხული არ არის.
- მთაწმინდაზე საბაგირო გზის ფუნქციონირების აღდგენის მიზნით ავსტრიულ კომპანია „DOPPELMAYR“-თან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მერიის მხრიდან ვალდებულებები აღებულია შესასრულებელ სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვის, საპროექტო დოკუმენტაციის, გეოლოგიური დასკვნების, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გარემოებების შესწავლის, თანმდევი რისკების გათვალისწინებისა და საავანსო თანხასთან დაკავშირებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე. კომპანია „DOPPELMAYR“-ისათვის წინასწარი ანგარიშსწორებით საბანკო გარანტიისა და მატერიალური ფასეულობის

მიღების გარეშე გადარიცხულია სულ 4,064.3 ათასი ევრო მაშინ როდესაც, ხელშეკრულებით 2,765.0 ათასი ევროს გადახდა უნდა განხორციელებულიყო მისაწოდებელი ტექნიკის თბილისში დასაწყობების შემდეგ. საბაგრო გზის მშენებლობისათვის 2012-2013 წლებში ბიუჯეტიდან გაწეულია სულ 12,580.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი. დღეის მდგომარეობით კი შესრულებულია მხოლოდ 604.6 ათასი ლარის სამუშაოები.

- შპს „ჯინო პარკი“-ის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით 2012-2013 წლებში მერიის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა შეადგინა 3,224.3 ათასი ლარი. აქედან 1,450.2 ათასი ლარის სამუშაოები შესრულებულია ყოველგვარი დადგენილებისა და სათანადო ნებართვების გარეშე. კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ მიწაზე აღნიშნული სამუშაოების შესრულების ვალდებულების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.
- 2014-2015 წლებში მიწისქვეშა გადასასვლელებში დამონტაჟებული ლიფტები და საპირფარეშოები საერთოდ არ ფუნქციონირებს, სამეთვალყურეო სისტემიდან კი ფუნქციონირებს მხოლოდ მცირე ნაწილი. შესყიდული მატერიალური ფასეულობებისა და შესრულებული სამუშაოების შესაბამისად დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებადი სამეთვალყურეო სისტემის გათვალისწინებით არაეფექტურად გახარჯულმა საბიუჯეტო თანხებმა შეადგინა 831,6 ათასი<sup>1</sup> ლარი. სამეთვალყურეო სისტემების შესყიდვაზე შპს „დელტა კომითან“ 2014 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად შესასყიდი მატერიალურ ფასეულობათა სავარაუდო ღირებულების არასწორი განსაზღვრის შედეგად მიწოდებული აპარატურის ფასნამატმა შეადგინა 298.2 ათასი ლარი.
- 2013-2014 წლებში სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამუშაოების ღირებულების ფაქტიური დანახარჯების შესაბამისად განსაზღვრაზე, დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმების და ინვენტარის ქირავნობის ღირებულებაზე ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების დარიცხვის გარეშე წარმოდგენაზე კონტროლი განხორციელებული არ არის. შესაბამისად გაურკვეველია ცალკეული სამუშაოების მიხედვით, შრომის ანაზღაურების, მომსახურებისა და გამოყენებული მატერიალური ფასეულობების ღირებულების ფაქტობრივ დანახარჯებთან შესაბამისობის საკითხი.
- მერიისათვის „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის 2015 წლის ივლისის თვეში ჩატარების შესახებ ცნობილი იყო 2010 წლის ნოემბერში, შესაბამისად ქ. თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სამუშაოების 2011-2014 წლებში დაგეგმვითა და ტენდერების საშუალებით შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, სამუშაოების შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ჩატარების აუცილებლობა არ დადგებოდა და კონკურენტის პირობებში შესაძლებელი იყო საბიუჯეტო თანხების ეკონომიური ხარჯვა.
- უცხოურ საწარმოს ფილიალ შპს „სტროისერვისგარანტს“ ხელშეკრულების საფუძველზე უნდა შეესრულებინა ვარკეთილის მე-III მასივის მე-X კვარტლის „ვ“ და „დ“ კორპუსებისა და ლილოს დასახლების მე-2 კვარტლის მე-3 კორპუსის გამაგრება-გამლიერების სამუშაოები. ლილოს კორპუსის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებისას წარმოდგენილია არაგონივრულად მაღალი ფასები. სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე იმ დროისათვის არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი იყო 305.8 ათასი ლარის ეკონომიის მიღწევა. ანალოგიური შემთხვევაა დიდი ხევძმარის სანიაღვრე

<sup>1</sup>ჯამი არაფუნქციონირებადი მონიტორების, ვიდეოთვალების, ლიფტების და მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებული ტუალეტების (659180+148300+24100=831580)

კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენით სამუშაოებზე 2014 წლის 9 დეკემბერს შპს „პალიტრასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულების შემთხვევაშიც, სადაც შესაძლებელი იყო 369.4 ათასი ლარის ეკონომიის მიღწევა.

## **შესავალი**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2013-2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი.

## **სამსახურის ზოგადი აღწერილობა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის საქალაქო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამათა შემუშავებას და მათი განხორციელების უზრუნველყოფას, აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, სამსახურს არ აქვს ბალანსი და შესაბამისად არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას. მის მფლობელობაში არსებული ქონება წარმოადგენს თბილისის მერიის საკუთრებას.

## **აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა**

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშესაბამობები.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2013-2015 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

## **აუდიტის საგანი**

აუდიტის საგნად განისაზღვრა: შესყიდვები და შრომის ანაზღაურება.

## აუდიტის კრიტერიუმები:

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება
- „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება.
- „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის N172 დადგენილება
- “ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა პრემირების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის N05.11.128 დადგენილება

## აუდიტის მიზანი და მასშტაბი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2013, 2014 და 2015 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ

## შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

## მასშტაბის შეზღუდვა

მერიის დაფუძნებულ სხვადასხვა ა(ა)იპ-ბისა და შპს-ბის ანგარიშებზე მათი მიზნების განსახორციელებლად და კაპიტალის ზრდისათვის დამატებითი შენატანის სახით გადარიცხული 178,648.3 ათასი ლარი, ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, ბუღალტრულად აღრიცხულია მერიის, მათ შორის კეთილმოწყობის სამსახურის, როგორც ფაქტიურ ასევე საკასო ხარჯებში და შესაბამისად წარმოადგენს აუდიტის წერილით განსაზღვრულ სააუდიტო სფეროს. ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო კი აღნიშნული თანხების ხარჯვის მიზნობრიობის და კანონიერების აუდიტი ვერ განხორციელდა და შესაბამისად ადგილი აქვს აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

## შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები

### საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

2013 წელს კეთილმოწყობის სამსახურს დაქვემდებარებული პროგრამული ღონისძიებებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებაზე და შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული იყო 207,988.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯებმა კი შეადგინა 193,896.0 ათასი ლარი. 2014 წელს დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული 176,909.2 ათასი ლარის ნაცვლად საკასო ხარჯებმა შეადგინა 153,572.3 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 231,822.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 211,853.5 ათასი ლარი.

2013-2015 წლებში კეთილმოწყობის სამსახურს დაქვემდებარებული პროგრამული ღონისძიებებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისათვის და შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე მერიას დაქვემდებარებული სხვადასხვა, ა(ა)იპ იებისა და შპს-ების ანგარიშებზე დამფუძნებლის მიერ მათი მიზნების განსახორციელებლად და კაპიტალის ზრდისათვის დამატებითი შენატანის სახით გადარიცხულია სულ 178,648.3 ათასი ლარი, მათ შორის:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013	2014	2015
ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი	74,000.0	31,059.8	-
შპს „თბილსერვის ჯგუფი“	11,728.0	3,098.0	55,900.0
შპს „ლაბორატორია“	970.0	-	-
შპს „სინათლის ქალაქი“	1,467.7	424.8	-
სულ	88,165.7	34,582.6	55,900.0

ქ. თბილისის მთავრობის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზე კაპიტალის შესავსებად თანხები გადარიცხულია აღნიშნული ორგანიზაციებიდან შემოსული წერილობითი მოთხოვნების საფუძველზე ყოველგვარი დასაბუთებისა და შესაბამისი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნების გარეშე, მაშინ როცა ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N03.32.101 და საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილებების შესაბამისად ქ. თბილისის მთავრობის (მუნიციპალიტეტის) მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების საწარმოო კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია შესაბამისი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

### კეთილმოწყობის სამსახურის მოსამსახურეებზე გაცემული ხელფასები, პრემიები და დანამატები

საფინანსო სამსახურიდან წარმოდგენილი ინფორმაციით კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების სახით სულ გაცემულია 5,124.7 ათასი ლარი მათ შორის:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013	2014	2015
თანამდებობრივი სარგო	1,060.3	1,119.6	842.2
დანამატი	139.9	141.5	128.3
პრემია	671.5	523.0	296.5
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	22.0	104.8	75.2
სულ	1,893.6	1,888.9	1,342.2

ასიგნებების მიხედვით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013		2014		2015	
	კეთილმოწ. ასიგნებიდან	ადმინისტრაციის ასიგნებიდან	კეთილმოწ. ასიგნებიდან	ადმინისტრაციის ასიგნებიდან	კეთილმოწ. ასიგნებიდან	ადმინისტრაციის ასიგნებიდან
თანამდებობრივი სარგო	1,060.3	-	1,119.6	-	842.2	-
დანამატი	-	139.9	-	141.5	128.3	-
პრემია	154.7	516.8	134,9	388.1	296.5	-
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	15.3	6.6	75.8	29.0	75.2	-
სულ	1,230.3	663.3	1,330.3	558.6	1,342.2	-

შრომის ანაზღაურების მუხლით გაცემული თანხების %-ლი შეფარდება:

(პროცენტი %)

დასახელება	2013	2014	2015
თანამდებობრივი სარგო	57	63	67
პრემია	36	29	23
დანამატი	7	8	10

არ არის დაცული<sup>2</sup> თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 მარტის N05.11.128 დადგენილებით დამტკიცებული “ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა პრემირების წესის “ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი”<sup>3</sup>, რადგანაც პრემირების ბრძანებებში არ არის მოცემული<sup>4</sup> მუშაობის შედეგში შეტანილი თითოეული მოსამსახურის პირადი წვლილის, ზეგანაკვეთური მუშაობის ან განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია. 2013-2014 წლებში კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებზე მერიის ადმინისტრაციის პროგრამული 10.2-კოდიდან, ნაცვლად კეთილმოწყობის სამსახურის პროგრამული კოდისა, პრემიების, დანამატებისა და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების სახით სულ გაცემულია 1,221.9 ათასი ლარი. შესაბამისად არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების მე-4 დანართით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა უნდა წარმოებდეს შესაბამისი პროგრამული კოდიდან.

აუდიტით დადგინდა 2013 წლის აპრილის და დეკემბრის თვეში ცალკეულ თანამშრომლებზე თვის განმავლობაში გაცემული პრემიისა და დანამატის ოდენობა თანამდებობრივი სარგოს 400%-ს შეადგენდა.

თბილისის მერის სამართლებრივი აქტების<sup>5</sup> საფუძველზე ადგილი აქვს კონკრეტულ თანამშრომლებზე წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნის ფაქტს, რაც თავისი

<sup>2</sup> გარდა შემდეგი პრემირების ბრძანებებისა : 2015 წლის 31 ივლისის ბრძანება N3279, 2015 წლის 29 სექტემბრის ბრძანება N3912, 2015 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება N4113 და დღესასწაულებთან დაკავშირებით გაცემული პრემიებისა

<sup>3</sup> ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 15 მარტის N05.11.128 დადგენილებით დამტკიცებული “ქ.თბილისის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა პრემირების წესი”, მუხლი 2, პუნქტი 3. “მოსამსახურეზე პრემიის გაცემა შესაძლებელია განხორციელდეს ყოველთვიურად. პრემიის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება მუშაობის შედეგში შეტანილი თითოეული მოსამსახურის პირადი წვლილის, ზეგანაკვეთური მუშაობის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე, პრემია შეიძლება გაიცეს დღესასწაულებთან დაკავშირებით. გასაცემი პრემიის ოდენობა მაქსიმალური სიდიდით არ იზღუდება”

<sup>4</sup> კეთილმოწყობის სამსახურის მიერ შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა

<sup>5</sup> ქალაქ თბილისის მერის ბრძანებები და განკარგულებები;



ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატის.

## სახელმწიფო შესყიდვები

„მთაწმინდაზე საბაგირო გზის ფუნქციონირების აღდგენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის N955 განკარგულების პირველი პუნქტით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მერიას უფლება მიეცა საჭირო საქონლის, სამშენებლო სამუშაოებისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აღნიშნული ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად. საბაგირო გზის ფუნქციონირების აღდგენის სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.<sup>6</sup>

ზემოთ აღნიშნული მთავრობის დადგენილების შესაბამისად მერიას უფლება მიეცა შესყიდვა განხორციელებინა საავანსო თანხასთან დაკავშირებული „საბანკო გარანტიის გარეშე“. აღნიშნული ეწინააღმდეგება და შეუსაბამობაშია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>1</sup>-ე მუხლის მოთხოვნებთან, რომლის შესაბამისად წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია.

ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 31 მაისის N15.10.526 დადგენილებით მოწონებულია კომპანია „Doppelmayr Seilbahnen GmbH A-6961 Wolfurt“-თან გაფორმებული ხელშეკრულების პროექტი, ხოლო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსს.<sup>7</sup> აღნიშნული შესყიდვის პროცედურები და ხელშეკრულების გაფორმება განხორციელებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების უგულვებელყოფით და მერიის შესყიდვების სამსახურის გვერდის ავლით<sup>8</sup>. კერძოდ, აღნიშნული შესყიდვა არ იყო რეგისტრირებული მერიის შესყიდვების სამსახურის ხელშეკრულებების რეესტრში და არ არის ასახული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მაშინ როდესაც საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის N955 განკარგულების პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მერიას საბაგირო გზის აღდგენისათვის საჭირო საქონლის, სამშენებლო სამუშაოებისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვა და შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმება უნდა განხორციელებინა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

ავსტრიულ კომპანია „Doppelmayr Seilbahnen GmbH A-6961 Wolfurt“-სა და მერიას შორის 2012 წლის 5 ივნისს გაფორმებული კონტრაქტისა<sup>9</sup> და ამავე კონტრაქტში 2012 წლის 7 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით<sup>10</sup> ხელშეკრულების საგანს<sup>11</sup> წარმოადგენდა მთაწმინდის პარკის საბაგირო გზის

<sup>6</sup> მაშინ როცა საბაგირო გზასთან დაკავშირებული სამუშაოები დღესაც არ დასრულებულა.

<sup>7</sup> თუ როგორ შეარჩიეს აღნიშნული კომპანია დაუდგენელია.

<sup>8</sup> ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 31 მაისის N 15.10.526 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულებაზე მერიის სახელით ხელს აწერს მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი.

<sup>9</sup> NWAA0002267

<sup>10</sup> დანართი N1

<sup>11</sup> მუხლი N1

აღდგენასთან დაკავშირებით პარკისათვის 8-MGD-ტიპის მობილური მონო-ბაგირის მქონე გონდოლის ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდება, პროექტის ინჟინერინგის, მონტაჟის, ტექნიკური დახმარებისა და ექსპლუატაციაში გაშვების უზრუნველყოფის ჩათვლით. ხელშეკრულების<sup>12</sup> საერთო ღირებულება საქართველოში მოქმედი საგადასახადო ტარიფების ჩათვლით განისაზღვრა 4,064.3 ათასი ევროს ოდენობით.

აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება და მერიის მხრიდან ვალდებულებების აღება<sup>13</sup> განხორციელებულია საბაგრო გზის ფუნქციონირების აღდგენის მიზნით შესასრულებელ სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვის, საპროექტო დოკუმენტაციის, გეოლოგიური დასკვნების, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო გარემოებების შესწავლისა და თანმდევ რისკების გათვალისწინების გარეშე.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად<sup>14</sup> 1,185.0 ათასი ევრო ავანსის სახით გადახდილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 დღის განმავლობაში<sup>15</sup>, 114.3 ათასი ევრო<sup>16</sup> არაუგვიანეს 2013 წლის 28 თებერვლისა, 1,580.0 ათასი ევრო არაუგვიანეს 2013 წლის 30 აპრილამდე ხოლო 1,185.0 ათასი ევრო კი არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე. აქედან 1,580.0 ათასი და 1,185.0 ათასი ევროს გადახდაზე მერიის მხრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე უნდა წარდგენილიყო საბანკო გარანტიები<sup>17</sup>. ხელშეკრულებით მეორე და მესამე გადახდა აუცილებელი იყო განხორციელებულიყო არაუგვიანეს ზემოთ აღნიშნული თარიღებისა, მერიის მხრივ დანიშნული უფლებამოსილი პირის მიერ ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდების შესახებ დასტურის საფუძველზე. ხელშეკრულების მე-6 პუნქტის შესაბამისად საბაგრო გზისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდება და მომსახურების გაწევა აუცილებელი იყო განხორციელებულიყო სამუშაო განრიგის შესაბამისად და დასრულებულიყო 2013 წლის 8 აპრილს შემდეგი წინაპირობების გათვალისწინებით, კერძოდ: ავანსის გადახდა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 დღის განმავლობაში, მერიის მხრიდან გადასახდელ თანხებზე საბანკო გარანტიების მიწოდება კომპანიისათვის არაუგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა, გეოლოგიური კვლევების განხორციელება არაუგვიანეს 2012 წლის 25 ივნისამდე, ყველა ანძისა და სადგურების, მათ შორის, ოპერატორის კაბინების მომზადება, მტვრისაგან დასუფთავება და მონტაჟისათვის მომზადება არაუგვიანეს 2012 წლის 26 ოქტომბრამდე და ორივე სადგურის ელექტრო ენერჯით უზრუნველყოფა არაუგვიანეს 2013 წლის 20 იანვრამდე.

„DOPPELMAYR“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით მერიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 20 ივნისის, 2013 წლის 26 თებერვლის და 8 მაისის დადგენილებების<sup>18</sup> შესაბამისად ევალეობდა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდს“, კეთილმოწყობის სამსახურს და სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდს“.

აუდიტის პროცესში ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ წარმოდგენილი 2016 წლის 5 თებერვლის წერილის<sup>19</sup> შესაბამისად დგინდება, რომ 2012 წლის 4 ივლისს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ საავანსო თანხის სახით კომპანია „DOPPELMAYR“-ისათვის გადარიცხულია 1,185.0 ათასი ევრო (2,452.5 ათასი ლარი). კეთილმოწყობის სამსახურის 2013 წლის 7 მარტის<sup>20</sup>, 2013 წლის 29 აპრილის<sup>21</sup> და 2013 წლის 20 დეკემბრის<sup>22</sup> წერილების შესაბამისად საფინანსო

<sup>12</sup> მუხლი N4

<sup>13</sup> ყოველგვარი საგარანტიო ვალდებულებებისა და რისკების დაზღვევის გარეშე

<sup>14</sup> მუხლი N5

<sup>15</sup> წინასწარ გადასახდელი თანხებზე საგარანტიო ვალდებულებების გარეშე

<sup>16</sup> ხელშეკრულებაში 2012 წლის 7 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით განსაზღვრულ 4064.3 ათასი ლარიდან გამომდინარე ავანსის სხვაობის თანხა.

<sup>17</sup> საბანკო გარანტიების ხარჯების გადახდა ეკისრებოდა მერიას

<sup>18</sup> N16.12.587, N07.28.224, N16.04.538

<sup>19</sup> N01-131

<sup>20</sup> N10-18/1857

<sup>21</sup> N10-18/4004

<sup>22</sup> N10-18/13354218

სამსახურის მიერ კომპანია „DOPPELMAYR“-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე კეთილმოწყობის სამსახურისათვის გათვალისწინებული „საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის“ პროგრამიდან გადარიცხულია სულ 2,879.3 ათასი ევროს ექვივალენტი 6,533.6 ათასი ლარი, მაშინ როდესაც, ხელშეკრულებით მეორე და მესამე გადახდა (2,765.0 ათასი ლარი) უნდა განხორციელებულიყო ბოლო მითითებულ თარიღებში და დაქვემდებარებული დასტურზე, რომ ტექნიკა განლაგდა თბილისში სათანადო აგენტის მიერ.

კომპანია „DOPPELMAYR“-ის მიერ აღნიშნული ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდების, შესაბამისად თბილისში განლაგებისა და ამ შემთხვევაში წინასწარ გადარიცხულ თანხებზე საბანკო გარანტიების შესახებ დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა. ბუღალტრულად დღეის მდგომარეობით მერიის ანგარიშზე (N1432 მთაწმინდის პარკის საბაგირო გზის აღდგენა) დებიტორული დავალიანების სახით ირიცხება 6,533.6 ათასი ლარი. აღნიშნული დავალიანების რეალობისა და ამოღების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

საბაგირო გზის აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე შპს „ქალაქპროექტთან“ ხელშეკრულება<sup>23</sup> გაფორმებულია მხოლოდ 2013 წლის 15 მარტს, კომპანია „DOPPELMAYR“-თან ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 თვის შემდეგ. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 140.0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ კი 40.0 ათასი ლარი.<sup>24</sup>

შპს „ქალაქპროექტი“-ის მიერ მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარების მომსახურების შესყიდვაზე 2013 წლის 8 ივლისს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების<sup>25</sup> შესაბამისად განსაზღვრული 32.0 ათასი ლარიდან ფაქტიურად შესრულებულია მხოლოდ 6.0 ათასი ლარის სამუშაოები.<sup>26</sup> საბაგირო გზის აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის სახარჯთაღრიცხვო, გეოლოგიური, კონსტრუქციული და ელექტრო ნაწილების საექსპერტო მომსახურებაზე<sup>27</sup> 2013 წლის 15 ნოემბერს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების<sup>28</sup> შესაბამისად კი შესრულებულია<sup>29</sup> 29.9 ათასი ლარის სამუშაოები.

ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 2 სექტემბრის N23.56.1053 დადგენილების შესაბამისად სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდს“ გადაეცა საბაგირო გზის სამშენებლო პროექტი და დაევალა კომპანია „DOPPELMAYR“-თან გაფორმებული ხელშეკრულებისა და პროექტის ფარგლებში საბაგირო გზის მშენებლობა, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა და მის დასრულებულ მდგომარეობაში მერიისათვის ჩაბარება. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საბაგირო გზის სამშენებლო სამუშაოებზე 2013 წლის ნოემბერში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>30</sup> 5,454.7 ათასი ლარით კონკურენციის გარეშე ერთპიროვნულად გამარჯვებულ შპს „კავკასუს როუდ პროჯექტთან“ 2013 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება<sup>31</sup>.

<sup>23</sup> N2.3/10/105

<sup>24</sup> ხელშეკრულების შეუსრულებლობის შესახებ დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა

<sup>25</sup> ხელშეკრულება N 2.3/40/239-1

<sup>26</sup> ხელშეკრულების შეუსრულებლობის შესახებ დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა

<sup>27</sup> თუ ვის მიერ და როდის შედგა საბაგირო გზის აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია დაუდგენელია

<sup>28</sup> N 2.3/40/415

<sup>29</sup> სახელშეკრულებო ღირებულება 29.9 ათასი ლარი

<sup>30</sup> SPA130025173სავარაუდო ღირებულება 5456.6 ათასი ლარი

<sup>31</sup> N1/109

ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად მერიის ბიუჯეტით გათვალისწინებული „საბაგრო გზის განვითარების“ პროგრამიდან<sup>32</sup> 2013 წლის 26 დეკემბერს შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“-ზე ავანსის სახით გადარიცხულია 3,500.0 ათასი ლარი.<sup>33</sup> სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 თვეში. 2014 წლის 29 დეკემბერს და 2015 წლის 23 დეკემბერს შედგენილი შეთანხმებების<sup>34</sup> შესაბამისად კი დგინდება, რომ საბაგრო გზის პროექტში შესატან ცვლილებებთან, კერძოდ კი საბაგროს ქვედა და ზედა სადგურების არქიტექტურული ნაწილის შეცვლის მიზეზით<sup>35</sup> ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადები გადაწეულია შესაბამისად 2015 და 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

საბაგრო გზის სამშენებლო მოედნების მიმდებარედ გრიბოდგვისა და ჭონქამის ქუჩებზე სასმელი წყლის მიწისქვეშა კომუნიკაციების განლაგების სამშენებლო სამუშაოებზე 2013 წლის დეკემბრის თვეში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>36</sup> გამარჯვებულად 171.6 ათასი ლარით გამოცხადებულია შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“. ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოების შესრულებისათვის განსაზღვრულია 60 კალენდარული დღე. 2014 წლის 29 დეკემბერს და 2015 წლის 23 დეკემბერს შედგენილი შეთანხმებებით<sup>37</sup> კი დგინდება, რომ საბაგროს ქვედა და ზედა სადგურების არქიტექტურული ნაწილის შეცვლის მიზეზით<sup>38</sup> ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადებმა გადაწეულია შესაბამისად 2015 და 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

აუდიტის პროცესში ჩვენი მოთხოვნის შესაბამისად სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდიდან“ 2016 წლის 18 თებერვალს წარმოდგენილი ინფორმაციით<sup>39</sup> დგინდება, რომ დღეის მდგომარეობით შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მიერ ორივე ხელშეკრულების მიხედვით შესრულებულია მხოლოდ 528.7 ათასი ლარის სამუშაოები. შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 5,097.6 ათას ლარს.

საბაგრო გზის მშენებლობისათვის ბიუჯეტიდან დღეის მდგომარეობით გაწეულია სულ 12,580.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი. შესრულებულია მხოლოდ 604.6 ათასი ლარის სამუშაოები.

საბაგრო გზის მშენებლობისათვის, კომპანია „DOPPELMAYR“-სათვის გადარიცხული თანხების შესაბამისად მისაღები ალჭურვილობის, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მიერ შესრულებული 528.7 ათასი ლარის სამუშაოების<sup>40</sup> შემდგომი გამოყენების, მის მიერ ორივე ხელშეკრულების შესაბამისად შესასრულებელ სამუშაოებზე ვადების გადაწევის კონკრეტული მიზეზებისა და დღეის მდგომარეობით სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

მერიას სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ბანკში გახსნილ ანგარიშზე თანხების განთავსებისათვის პროცენტების სახით ერიცხებოდა 2012-2015 წლებში წლიურად 16.05%. „DOPPELMAYR“-ზე და შპს „კავკასუს როუდ პროჯექტზე“ 2012-2013 წლებში წინასწარ გადარიცხული თანხების სს „ლიბერთი ბანკი“-ს შესაბამის ანგარიშზე თანხების განთავსებით მერია დამატებით საპროცენტო შემოსავლის სახით 2012-2015 წლებში მიიღებდა 4,850.5 ათას ლარს.

ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 24 იანვარს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>41</sup> გამარჯვებულ შპს „გზატკეცილი“-სთან 2013 წლის 22 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების

<sup>32</sup> ორგანიზაციული კოდი 1.2.6

<sup>33</sup> სახელშეკრულებო ღირებულების 64.2%

<sup>34</sup> N1 და N 2

<sup>35</sup> ორივე შემთხვევაში

<sup>36</sup> SPA130029008-სავარაუდო ღირებულება 171.7 ათასი ლარი

<sup>37</sup> N1 და N 2

<sup>38</sup> ორივე შემთხვევაში

<sup>39</sup> წერილი 04-01/112

<sup>40</sup> სამშენებლო პროექტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით

<sup>41</sup> (SPA130002030) სავარაუდო ღირებულება 10000.0 ათასი ლარი

შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 7,778.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტების მისამართები, პროექტი და შესრულების გეგმა-გრაფიკი (საჭიროების შემთხვევაში) შემსყიდველის მიერ ეტაპობრივად უნდა ცნობოდა მიმწოდებელს. სამსახურის მიერ მიმწოდებელი ორგანიზაციისთვის აღნიშნული მონაცემების გადაგზავნის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი ვერ იქნა.

აღნიშნული ტენდერის ფარგლებში არ იყო შედგენილი პროექტები, ხოლო ცალკეული ქუჩების შემთხვევაში წარმოდგენილი დეფექტური აქტები ატარებდა ფორმალურ ხასიათს, ვინაიდან ფაქტიურად განხორციელებული სამუშაოს მოცულობები არსებითად განსხვავდებოდა დეფექტური აქტებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობებისგან.

ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტებით დგინდება, რომ ხელშეკრულების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა 38 ქუჩას. კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2013 წლის 17 ოქტომბერს და 5 ნოემბერს მიმწოდელისთვის გაგზავნილი წერილების<sup>42</sup> თანახმად 11 ქუჩაზე გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.2 პუნქტის შესაბამისად შპს „გზატკეცილი“ ჯარიმის სახით დარიცხულია 295.2 ათასი ლარი.<sup>43</sup> დარჩენილი 26 ქუჩის შემთხვევაში კი სამუშაოების დადგენილ ვადებში დასრულებისა და შესაბამისად საჯარიმო სანქციების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

შესყიდვების სამსახურისთვის 2014 წლის 21 იანვარს გაგზავნილი<sup>44</sup> წერილიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ცალკეული ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დასრულება, რაც გახდა შპს „გზატკეცილი“ -თან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 3,193.5 ათასი ლარი. შესაბამისად სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფს“ ქ. თბილისის მერის მოადგილის მიერ 2014 წლის 23 იანვარს გაგზავნილი წერილით<sup>45</sup> ეთხოვა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის სახით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 5%-დან გამომდინარე 159.7 ათასი ლარის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვა.

აუდიტის პროცესში მერიის საფინანსო სამსახურიდან წარმოდგენილი წერილით<sup>46</sup> შპს „გზატკეცილთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოების დასრულების ვადების დარღვევისათვის საჯარიმო თანხის 295.2 ათასი ლარის და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის სახით 159.7 ათასი ლარის ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვა არ ფიქსირდება.

მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, მერიის მიერ 2013 წლის 24 იანვარს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>47</sup> გამარჯვებულად გამოცხადებულია სს საგზაო კომპანია „თბილისი“, რომელთანაც 2013 წლის 26 თებერვალს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება<sup>48</sup> ჯამური ღირებულებით 9,915.9 ათასი ლარი. წარმოდგენილი ფორმა N2-ბისა და მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, 54 ქუჩაზე შესრულებულია 9,338.6 ათასი ლარის ღირებულების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

აუდიტით დადგინდა, რომ კომპანიას ჭოხონელიძის ქუჩისა და ჩიხის კაპ. შეკეთება სრულად არ განუხორციელებია. კერძოდ, კომპანიის მიერ არ შესრულებულა ქუჩის მოასფალტების სამუშაოები.<sup>49</sup>

<sup>42</sup> N07-18/13309746 და N07-18/13290881

<sup>43</sup> 2014 წლის 23 იანვარის წერილი N07-3/14023539

<sup>44</sup> N10-18/1402164

<sup>45</sup> N07-3/14023533

<sup>46</sup> N9/65759 18 მარტი 2016 წელი

<sup>47</sup> SPA130002031

<sup>48</sup> N1.1.1/30/88

<sup>49</sup> კეთილმოწყობის სამსახურის 2013 წლის 17 ოქტომბრის და 5 ნოემბრის N07-18/13290870 და N07-18/13309734 წერილები

წარმოდგენილი ფორმა N2-ებისა და მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, შესრულებულია 122.7 ათასი ლარის<sup>50</sup> ღირებულების მიწის ვაკისისა და საფუძვლის ინერტული მასალით მოწყობის სამუშაოები<sup>51</sup>. მაშინ როცა აღნიშნულ სამუშაოებზე შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია, რომ მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები შესრულებულია გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნული ჭოხონელიძის ქუჩის და ჩიხის რეაბილიტაციის და სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოების ფარგლებში მერიასა და შპს „ენკი“-ს შორის 2014 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>52</sup> საფუძველზე<sup>53</sup> მიმწოდებლის მიერ განმეორებით შესრულებულია კომპანია „თბილისის“ მიერ 2013 წელს გ.ჭოხონელიძის ქუჩაზე და ჩიხის გზის სავალ ნაწილზე შესრულებული მიწის ვაკისისა და საფუძვლის ინერტული მასალით მოწყობის ანალოგიური სახის სამუშაოები<sup>54</sup>. შესაბამისად კომპანია „თბილისის“ მიერ გ. ჭოხონელიძის ქუჩისა და ჩიხის მიწის ვაკისისა და საფუძვლის ინერტული მასალით მოწყობაზე შესრულებული 122.7 ათასი ლარის სამუშაოები წარმოადგენს არაეფექტურ ხარჯს.

ქ. თბილისში, მარატ ნოზაძის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2013 წლის 13 სექტემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>55</sup> გამარჯვებულად გამოვლენილ შპს „RSP-40“-სთან 2013 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებულია ხელშეკრულება<sup>56</sup> 1,511.0 ათასი ლარის სამუშაოების შესრულებაზე. სამუშაოების შესრულების ვადა განსაზღვრულია 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.<sup>57</sup> უნდა აღინიშნოს, რომ არასრულყოფილადაა შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო განცხადების 2.2 პუნქტში მითითებულია, რომ პრეტენდენტს სამუშაოების მიმდინარეობისას სამუშაო ადგილზე უნდა გააჩნდეს ამავე პუნქტში მოყვანილ ცხრილში მითითებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ცხრილში ჩამოთვლილია მხოლოდ მანქანა-მექანიზმების დასახელება და რაოდენობა, არ არის მოთხოვნილი ხსენებული მანქანა-მექანიზმების რეალურად ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები *(ანალოგიური მდგომარეობაა გზების მშენებლობა-აღდგენის მიზნით სააუდიტო პერიოდში გამოცხადებული ტენდერების ცალკეულ შემთხვევაში)*. აქედან გამომდინარე, ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შპს „RSP-40“-ის მიერ სატენდერო წინადადებაში და დოკუმენტაციაში წარდგენილია ინფორმაცია მანქანა-მექანიზმების რეალურად ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე. ასეთ შემთხვევაში არსებობდა რისკი იმისა, რომ მიმწოდებლის მიერ ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შემსყიდველის მიერ ასევე არასრულყოფილადაა აღწერილი შესყიდვის ობიექტი. კერძოდ, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობების განსაზღვრისას არ იქნა გათვალისწინებული და შეფასებული არსებული წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის მდგომარეობა. შედეგად, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით ოჯერ შეცვლილია სამუშაოთა შესრულების ვადა. სამუშაოთა შესრულების ვადა საბოლოოდ

<sup>50</sup> (08.08.2013წ N60; 06.09.2013 წ N69; 27.09.2013წ N75; 17.12.2013 წ N113 და N114 ფორმა N2-ები და მიღება-ჩაბარების აქტები).

<sup>51</sup> გრუნტის დამუშავება მექანიზმებით სავალ ნაწილზე და დატვირთვა ავტოთვიომცლეულზე 2420.8 მ/კუბ ოდენობით; გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვიომცლეულზე 65 მ/კუბ; სამშენებლო ნაგვის გატანა 4512 ტონა; საფუძვლის ქვედა და ზედა ფენის მოწყობა ქვიშახრეშოვანი ნარევით შესაბამისად 1288.1 მ/კუბ. და 427.7 მ/კუბ.

<sup>52</sup> N1.1.1/30/412

<sup>53</sup> დაზუსტებული სახელშეკრულებო ღირებულება 591.4 ათასი ლარი

<sup>54</sup> გრუნტის დამუშავება მექანიზმებით სავალ ნაწილზე და დატვირთვა ავტოთვიომცლეულზე-2392.2 მ/კუბის ოდენობით; გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვიომცლეულზე-75 მ/კუბ; სამშენებლო ნაგვის გატანა-2981 ტონა; საფუძვლის ქვედა და ზედა ფენის მოწყობა ქვიშახრეშოვანი ნარევით შესაბამისად 1422 მ/კუბ. და 1117 მ/კუბ. რამაც ყველა დანარიცხის გათვალისწინებით 112.2 ათასი ლარი შეადგინა(29.01.2015 წლის N3 და 27.03.2015 წლის N5 შუალედური ფორმაN2-ები და მიღება-ჩაბარების აქტები).

<sup>55</sup> SPA130020213 სავარაუდო ღირებულება 1,511.0 ათასი ლარი

<sup>56</sup> N1.1.1/30/395

<sup>57</sup> შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტების (საბოლოო მ/ჩ აქტი 23.05.2014წ.) მიხედვით შესრულებულმა და ანაზღაურებული სამუშაოების ღირებულებამ 1,485.0 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის 2013 წელს - 1,293.0 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 192.0 ათასი ლარი.

განსაზღვრულია 2014 წლის 05 მაისის ჩათვლით. ამასთან, 5.3. მუხლში 2013 წლის 23 დეკემბერს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული წინასწარი ანგარიშსწორების გაზრდა ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 80%-მდე (ცვლილებამდე არსებული რედაქციით - არაუმეტეს 20%-სა). ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის ავანსის სახით 2013 წლის 30 ოქტომბერს გადარიცხულია ხელშეკრულების ღირებულების 20% - 302.0 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლის 24 დეკემბერს - 906.0 ათასი ლარი (59,96%).

ხელშეკრულებებში საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები არ იყო არგუმენტირებული და აღნიშნული ქმედებით არაკონკურენტული გარემო შეიქმნა იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებსაც ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ ჰქონდათ შესაძლებლობა სცოდნოდათ საავანსო ანგარიშსწორების არსებობისა და რაოდენობის შესახებ. აღნიშნული ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანსა და პრინციპს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი და ეფექტიანი კონკურენციის განვითარებასთან დაკავშირებით. ამას გარდა, განსახილველ შემთხვევაში ავანსის თანხის გაზრდა, საბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე პროცენტის დარიცხვის თვალსაზრისით, აუარესებს ზოგადად შემსყიდველის მდგომარეობას, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე არსებულ ნაშთს ყოველდღიურად ერიცხება პროცენტი, რაც ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას<sup>58</sup>.

ელექტრონულ ტენდერებში<sup>59</sup> გამარჯვების საფუძველზე შპს „RSP-40“<sup>60</sup>-სთან 2014 წლის 15 მაისს გაფორმებულია ორი ხელშეკრულება<sup>61</sup> სახელმწიფო შესყიდვაზე. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ქ.თბილისში მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს მხარეს არსებული გზებისა და ქუჩების მიმდინარე (ორმოული) შეკეთების სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულებები შესაბამისად 597.2 ათასი და 597.2 ათასი ლარი. მერიის წერილობითი დავალების შესაბამისად მიმწოდებელ კომპანიას ჩაიკოვსკის ქუჩაზე სამუშაოები უნდა დაესრულებინა<sup>62</sup> 15 ივლისს, ხოლო ინგოროყვას ქუჩაზე 5 ივლისს<sup>63</sup>. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარებებით და ფორმა N2-ებით ჩაიკოვსკის ქუჩაზე სამუშაოები დასრულებულია 22 ივლისს ხოლო ინგოროყვას ქუჩაზე 14 ივლისს. სამუშაოების დაგვიანებით შესრულების გამო ხელშეკრულების 12.3 პუნქტის<sup>64</sup> შესაბამისად შემსყიდველს მიმწოდებლისათვის უნდა დაერიცხა პირგასამტეხლო 9.6 ათასი ლარი.

მერიის მიერ 2013 წლის 11 იანვარს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერები ქ. თბილისში გზების და ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვის თაობაზე.<sup>65</sup> ყველა ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციებით პრეტენდენტთა (შპს „ელფია“, შპს „დათა+“) მიმართ დაწესებული იყო იდენტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრებაში და/ან იჯარით ფლობის

<sup>58</sup> ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობების შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

<sup>59</sup> SPA140009657 და SPA140009656

<sup>60</sup> 202364832

<sup>61</sup> 1.1.1/30/157 და 1.1.1/30/158

<sup>62</sup> ვადაში ივლისხმება ასევე შპს „ლაბორატორიის მიერ ფორმა N2-ით სამუშაოების დასრულების დადასტურება

<sup>63</sup> წერილები N07-18/14168155, 07-18/14191104, N07-18/14168155 და 07/14175554-18

<sup>64</sup> მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გასაწვევი სამუშაოს (შესრულების კონკრეტული ვადის) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

<sup>65</sup> SPA130000720 (ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვა), SPA130000721(ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში გლდანის ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვა), SPA130000723(ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ისნის ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვა), SPA130000728(ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საბურთალოს ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვა) და SPA130000730(ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, სამგორის ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვა).

დამადასტურებელი ინფორმაცია (ფრეზი, ექსკავატორი, მცირე ზომის დამტვირთველი მექანიზმი, სატკეპნი გლუვ-დოლიანი, ვიბრო-დამტკეპნი, ხერხი, მხტუნავი დამტკეპნი, ვიბროფილა, ბიტუმის მომხსნელი დანადგარი, კომპრესორი პნევმოჩაქუჩით და საგზაო ნიშნები). ზემოხსენებული ყველა ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაციის 12 პოზიციიდან გამარჯვებულ პრეტენდენტთა მიერ 10<sup>66</sup> პოზიციაზე წარმოდგენილია ერთი და იგივე მანქანა-მექანიზმების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ეს გარემოებები წარმოშობს რისკს, რომ გამარჯვებულ პრეტენდენტს ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება. ამის დამადასტურებლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული ტენდერების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის, კერძოდ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკების დარღვევისათვის მერიის მიერ 2014-2015 წლებში დაჯარიმებულია<sup>67</sup> შპს „ელფია“-76.3 ათასი ლარით, შპს „დათა+“ 261.4 ათასი ლარით.

მერიის მიერ 2014 წლის 1 აპრილს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი<sup>68</sup>, ქ. თბილისში, თბილისის ზღვაზე „სოკარის“ ბენზოგასამართი სადგურის მიმდებარე მოედნის, მშენებარე აკვაპარკთან მისასვლელი გზის მონაკვეთისა და ხუდადოვის ქუჩის ქვედა მონაკვეთის რეაბილიტაციაზე<sup>69</sup>. ტენდერში გამარჯვებულია შპს „ცეკური“,<sup>70</sup> რომელთანაც ხელშეკრულება<sup>71</sup> გაფორმებულია 2014 წლის 02 ივნისს 1,000.0 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულებაში 2014 წლის 7 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებით ხელშეკრულების ღირებულება შემცირებულია 68.9 ათასი ლარით და განსაზღვრულია 931.0 ათასი ლარით. სამუშაოების შესრულების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე, ანუ 2014 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ცეკურის“ მიერ სამუშაოები დასრულებულია 2015 წლის 15 სექტემბერს, შესყიდვების სამსახურის 2014 წლის 16 ოქტომბრის წერილით<sup>72</sup> შპს „ცეკურს“ ეცნობა, რომ იგი დაჯარიმებულია სამუშაოების შესრულების ვადის გადაცილების გამო 41.0 ათასი ლარით. მხარეთა მიერ 2014 წლის 26 ნოემბერს ხელმოწერილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ შპს „ცეკურის“ მიერ ფაქტიურად შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ 926.9 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც შპს „ლაბორატორიის“ მიერ წუნდებულად ცნობილია 241.5 ათასი ლარის სამუშაოები და შემსყიდველის მიერ ანაზღაურებულია მხოლოდ 685.4 ათასი ლარი. აქტის მიხედვით შპს „ცეკურს“ წუნდებული სამუშაოების ღირებულების აუნაზღაურებლობასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნდა. გარდა ამისა, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების გამო იგი დაჯარიმებულია 931 ლარით<sup>73</sup>.

შპს „ცეკურთან“ გაფორმებული ხელშეკრულების 7.4. პუნქტის შესაბამისად, შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყო მიმწოდებელს, რაც შემსყიდველს არ მოუთხოვია და შესაბამისად არც შპს „ცეკურის“ მხრიდან არ მომხდარა წუნდებულ სამუშაოებში გამოვლენილი ნაკლისა და დეფექტების აღმოფხვრა. კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაფარისი და საკმარისი მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ რა ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე იქნა მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება, იმ დროს, როდესაც შპს „ცეკურის“ მიერ არაჯეროვნად და არადროულად შესრულებულია ზემოხსენებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მერიის მიერ მასთან

<sup>66</sup> ეს მანქანა-მექანიზმები: ფრეზი, მცირე ზომის დამტვირთველი მექანიზმი, ექსკავატორი, მხტუნავი დამტკეპნი, სატკეპნი გლუვდოლიანი, ვიბროდამტკეპნი, ვიბროფილა, ხერხი, კომპრესორი ვიბროჩაქუჩებით, ბიტუმის მოსასხმელი დანადგარი.

<sup>67</sup> ქ. შესყიდვების სამსახურის 01.04.2014წ. N10-15/14091185 და 13.03.2015 N10-15/150721778 წერილები.

<sup>68</sup> SPA140008997

<sup>69</sup> სავარაუდო ღირებულება 1,165.0 ათასი ლარი.

<sup>70</sup> ს/კ 209442174

<sup>71</sup> N1.1.1/30/185

<sup>72</sup> N07-15/14289981

<sup>73</sup> მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის 11.12.2014წ. N07-15/143451103 წერილი



გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2014 წლის 14 და 19 ნოემბერს გაფორმებულია 1,944.0 ათასი ლარის ღირებულების ოთხი ხელშეკრულება(რაც მაღალი რისკის შემცველია).<sup>74</sup> მერიის მიერ ზემოხსენებულ გამარტივებულ შესყიდვებზე გადაწყვეტილება მიღებულია იმ გარემოებების შემდგომ, რაც არ შედგა 2014 წლის 26 სექტემბერს<sup>75</sup>, 1 ოქტომბერს<sup>76</sup> და 10 ოქტომბერს გამოცხადებული<sup>77</sup> ელექტრონული ტენდერები.

ყველა ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში შეტანილია ცვლილებები, რომელთა შესაბამისად სამუშაოთა შესრულების ვადები გაგრძელებულია 2015 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. აღნიშნულ ცვლილებებს საფუძველად დაედო ის გარემოებები, რომ 2014 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში უზვად მოსული ნაღებების გამო სამუშაოთა წარმოება შეფერხდა, ხოლო 2015 წლის იანვრის თვეში არსებული ცვალებადი კლიმატური პირობების (დაბალი ტემპერატურის) გამო შეუძლებელი გახდა გზის საფარის ზედა ფენის მოწყობა.

უნდა აღინიშნოს რომ შემსყიდველს შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ზამთრის პერიოდში მოსალოდნელი კლიმატური პირობების გაუარესების გამო შესაძლებელი გახდებოდა გზების შეკეთებისა და რეაბილიტაციის სამუშაოების შეფერხება და სამუშაოების შემსრულებლების მიერ აუცილებლად დაისმებოდა ხელშეკრულების ვადების გაგრძელების საკითხი. აქედან გამომდინარე, ზამთრის პერიოდის მოახლოება გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებად და შესაბამისად გამარტივებული შესყიდვების განხორციელების ობიექტურ მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს<sup>78</sup>, რადგან მერიის მიერ ზემოხსენებული შესყიდვების მოცულობები ყველა შემთხვევაში აღემატებოდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს. ეს ყოველივე შეუსაბამობაშია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან<sup>79</sup>.

მერიის მიერ შპს „დაგი“-სთან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2014 წლის 14 ნოემბერს გაფორმებულია შემდეგი ხელშეკრულებები: ხელშეკრულება N1.1.1./10/376<sup>80</sup> - ქ. თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე და ხელშეკრულება N1.1.1./10/377<sup>81</sup> - ქ. თბილისში მთაწმინდის რაიონში არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე.

მერიის მიერ ზემოხსენებულ გამარტივებულ შესყიდვებზე გადაწყვეტილება მიღებულია იმ გარემოებების შემდგომ, რაც არ შედგა 2014 წლის 10 ოქტომბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერები<sup>82</sup>. აქედან გამომდინარე, თბილისის მერის მიერ<sup>83</sup> საკრებულოს ეთხოვა გადაუდებელი

<sup>72</sup> N1.1.1./10/389, N1.1.1./10/400, N1.1.1./10/401, N1.1.1./10/402

<sup>75</sup> SPA140022749, SPA140022750

<sup>76</sup> SPA140023039

<sup>77</sup> SPA140023866

<sup>78</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული ან/და რომლის დადგომა არა არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან/და რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.

<sup>79</sup> ასეთ შემთხვევებში შესყიდვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს. ზამთრის პერიოდში კლიმატური პირობების გაუარესების რისკი უნდა გაეთვალისწინებინა როგორც შემსყიდველს, ისე მიმწოდებელს. აქედან გამომდინარე, კლიმატური პირობების გაუარესების მოტივით სამუშაოთა შესრულების ვადის გაგრძელება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფორს-მაჟორულ გარემოებად არ უნდა იქნეს განხილული და შესაძლებელია მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციების დარიცხვის თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

<sup>80</sup> CMR140175197

<sup>81</sup> CMR140175200

<sup>82</sup> SPA140023865 და SPA140023868

<sup>83</sup> 2014 წლის 04 ნოემბრის N05-1/14308985 წერილი.

აუცილებლობის საფუძველით თანხმობა მიეცათ გზების შეკეთების სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების თაობაზე. წერილში მითითებულია, რომ გზების საფარი სავალალო მდგომარეობაშია, ტენდერების განმეორებით გამოცხადება საჭიროებს გარკვეულ ვადას, ხოლო ზამთრის პერიოდის მოახლოების გამო შესაძლებელია სამუშაოების ჩატარება გართულდეს. ამ გარემოებების გათვალისწინებით საკრებულოს მიერ გაცემულია წერილობითი<sup>84</sup> თანხმობა გამარტივებული შესყიდვების განხორციელების თაობაზე.

აღნიშნულ ხელშეკრულებათა მიხედვით სამუშაოების დასრულების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე, ანუ 2014 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, რომლებიც შემდგომ გაგრძელებულია 2015 წლის 25 იანვრამდე. აღნიშნულ ცვლილებებს საფუძველად დაედო ერთი და იგივე გარემოებები, რომ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოთა წარმოების პროცესში გამოვლინდა რიგი უზუსტობები, როგორც საპროექტო დავალებებში, ასევე რეალურად შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობებში.

აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კეთილმოწყობის სამსახურის მიერ კვალიფიციურად ვერ ხორციელდება მოთხოვნების და საჭიროებების სათანადოდ შეფასება, რაც გამოიხატება შესყიდვის ობიექტის არასრულყოფილ განსაზღვრა-აღწერაში და რამაც გამოიწვია სამუშაოების შესრულების ვადების გაგრძელება.

ახალარსენალის მთის დასახლების ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>85</sup> გამარჯვებულ შპს „ინჟინერთან“ 2013 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>86</sup> შესაბამისად სამ ქუჩაზე შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 287.5 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების<sup>87</sup> მიხედვით მიმწოდებელს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სრული კაპიტალური შეკეთება უნდა ჩაეტარებინა მინიმუმ ორი ქუჩისათვის. ფაქტიურად კი მიმწოდებელს 2013 წელს წინამოსამზადებელი სამუშაოების სახით შესრულებული აქვს მხოლოდ 21.4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები<sup>88</sup>. აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო კი შემსყიდველს არ გამოუყენებია ხელშეკრულებით<sup>89</sup> მინიჭებული უფლებამოსილება პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ.<sup>90</sup>

ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს არსებულ გზებზე ქვაფენილის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>91</sup> გამარჯვებულ შპს „ინჟინერი“-თან<sup>92</sup> 2013 წლის 2 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>93</sup> ღირებულებამ შეადგინა 310.0 ათასი ლარი. კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესასრულებელი სამუშაოებზე წერილობითი დავალებები<sup>94</sup> სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების ვადების შესახებ.

ქ. თბილისში, ალ. მანაგაძის ქუჩის მონაკვეთის და გრიგოლ ხანძთელის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 4 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>95</sup> მონაწილეობას იღებდა ხუთი პრეტენდენტი, მათ შორის ორი დაბალი ფასის მქონე

<sup>84</sup> 2014 წლის 13 ნოემბრის N04/16206, N04/16323, N04/16324, N04/16329, N04/16421, N04/16440, N04/16324, N04/16446 წერილები.

<sup>85</sup> SPA130020346

<sup>86</sup> N1.1.1/30/420-1

<sup>87</sup> 4.2 პუნქტის

<sup>88</sup> მ/წ N1 26.12.2013

<sup>89</sup> 12.2<sup>89</sup> პუნქტი

<sup>90</sup> დასარიცხი თანხის დაანგარიშება შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების დაუდგენლობის გამო.

<sup>91</sup> SPA130020346

<sup>92</sup> საიდენტიფიკაციო კოდი 404873785

<sup>93</sup> N1.1.1/30/89-1

<sup>94</sup> კონკრეტული მისამართები და შესრულების გეგმა-გრაფიკები

<sup>95</sup> SPA150013093

პრეტენდენტის<sup>96</sup> დისკვალიფიკაციის შემდეგ 2015 წლის 22 ივნისს სს საგზაო კომპანია „თბილისთან“ გაფორმებულია 1.300,0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება.<sup>97</sup>

2015 წლის 29 დეკემბრის შეთანხმების ოქმის საფუძველზე, სს საგზაო კომპანია „თბილისი“-თვის ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები გადაცემული აქვს მესამე პირს - შპს „ინჟინერს“, რომელიც ამავე ტენდერში დისკვალიფიცირებული იყო ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის გამო. შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უფლებების და ვალდებულებების ოფიციალურად გადაცემამდე შპს „ინჟინერი“ უშუალოდ ახორციელებდა აღ. მანაგაძისა და გრიგოლ ხანძთელის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებს რაც დასტურდება მისი ხელმოწერით წარდგენილ ფარული სამუშაოების აქტებით, რომლებიც დათარიღებულია 2015 წლის 5, 18 და 24 დეკემბრით. შპს „ინჟინერი“-ს ხელმოწერითაა წარმოდგენილი აგრეთვე 341.8 ათასი ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოების აქტები<sup>98</sup>, რომლებშიც სამუშაოების შესრულების თარიღად მითითებულია 2015 წლის 25-27 დეკემბერი<sup>99</sup>. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნულ შეთანხმებამდე და მის შემდეგ დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტს - შპს „ინჟინერს“ შესრულებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 85% მის მიერ ელექტრონულ ვაჭრობაზე დაფიქსირებულ ფასთან<sup>100</sup> შედარებით 3% -ით მეტ თანხაზე, რაც თავის მხრივ მიუთითებს პრეტენდენტის შესაძლო არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო კომისიისთვის არ წარმოდგენის გამო. აღნიშნული დოკუმენტაცია შპს „ინჟინერი“-ს მიერ წარმოდგენილია მხოლოდ 2015 წლის 28 დეკემბრს<sup>101</sup> - შეთანხმების გაფორმებამდე ერთი დღით ადრე, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად შეიცავდა ინფორმაციას სამუშაოების გამოცდილების შესახებ და 1,900.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების დამკვეთად მითითებულია სს საგზაო კომპანია „თბილისი“.

შპს „ინჟინერი“-ს მიერ მეტი სარგებლის მიღების მიზნით დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის არ წარმოდგენის გამო არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ პრეტენდენტებმა დაარღვიეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აფიდავიტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც კონკურენტებს ეკრძალებათ კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება, სატენდერო წინადადების ფასის და წინადადების წარდგენის, ან წარდგენისაგან თავის შეკავების შესახებ.

ფიზკულტურის ქუჩაზე, კავკასიის უნივერსიტეტიდან სანაპირომდე სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2013 წლის 10 ივნისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>102</sup> გამარჯვებულ კომპანია შპს „ა ენდ ზ ლოჯისტიკთან“ 2013 წლის 24 ივლისს გაფორმებულია ხელშეკრულება,<sup>103</sup> რომლის შესაბამისად მიმწოდებელს 2013 წლის 24 ივლისიდან 2013 წლის 10 ნოემბრამდე პერიოდში<sup>104</sup> უნდა შეესრულებინა 970.0 ათასი ლარის სამუშაოები.

ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აუდიტით დადგინდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში შპს „ა ენდ ზ ლოჯისტიკის“ მიერ შესრულებულია, მხოლოდ 693.2 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო დარჩენილი სამუშაოები შესრულებულია 2014 წლის 1 ივლისამდე პერიოდში. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო აღნიშნული კომპანია 2014-2015 წლებში დაჯარიმებულია 5 შემთხვევაში 16.5 ათასი ლარით.

<sup>96</sup> „შპს ნიუ ქასთელ ქონსტრაქშენ და შპს ინჟინერი“

<sup>97</sup> N 1.1.1/30/419

<sup>98</sup> N3 და N4

<sup>99</sup> მიღება-ჩაბარები აქტები N2 და N3

<sup>100</sup> 1,259. 2

<sup>101</sup> წერლით (N123854/07)

<sup>102</sup> SPA130012632 -სავარაუდო ღირებულება 1 484 ათასი ლარი

<sup>103</sup> N N2.1/30/257-6

<sup>104</sup> დარიცხვების გათვალისწინებით

ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად კი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულებისა და შესრულების ვადების გადაცილებისათვის დამატებით ექვემდებარებოდა დაჯარიმებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-დან გამომდინარე 47.8 ათასი ლარით.

სატენდერო წინადადებითა და ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ზოგიერთი სახის სამუშაოების მოცულობები დაკორექტირებულია მერიასთან შეთანხმებისა და შესაბამისად ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გარეშე.<sup>105</sup> კერძოდ, გადახურვით მონოლითური რკ/ბ კოლექტორების მოწყობის სამუშაოების მოცულობები და შესაბამისად ღირებულება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 325.2 ათასი ლარიდან გაზრდილია 735.2 ათას ლარამდე.<sup>106</sup>

2013 წლის 24 ივლისიდან 2014 წლის 4 ივნისამდე პერიოდში შპს „ა ენდ ზ ლოჯისტიკის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების თითქმის სრულად ათვისების მიუხედავად<sup>107</sup> არ შესრულებულა პროექტით გათვალისწინებული მონოლითური რკ/ბ ვარდნილი და გადართვის კამერების გადახურვით მოწყობაზე 39.9 ათასი ლარის სამუშაოები.<sup>108</sup>

შპს „ა ენდ ზ ლოჯისტიკის“ მიერ პროექტით გათვალისწინებულ და ფაქტიურად შეუსრულებელი<sup>109</sup> სამუშაოების შესყიდვაზე, 2015 წლის 18 მარტს გამოცხადებულ ტენდერში<sup>110</sup> გამარჯვებულად გამოცხადებულია შპს „მადლი“, რომელთანაც 2015 წლის 30 აპრილს გაფორმდა 42.9 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება<sup>111</sup>. კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდში<sup>112</sup>, კერძოდ კი 2015 წლის 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად აღნიშნულმა კოლექტორმა ვერ შესძლო ჭარბი ნალექის გატარება და გამოიწვია ფიზკულტურის ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის ნაწილობრივ დაზიანება, შედეგად შპს „ჰერიოს“ მიერ სამუშაოების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, ქალაქ თბილისში ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში<sup>113</sup> განმეორებით განხორციელებულია ასფალტ-ბეტონის საფარის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები<sup>114</sup> შპს „ენკო“-ს მიერ.<sup>115</sup>

ხელშეკრულების 3.1. მუხლით სამუშაოების შესრულების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან სამთვენახევრის ვადით, ანუ 2013 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით შესრულებულმა და ანაზღაურებულმა სამუშაოების ღირებულებამ 513.5 ათასი ლარი შეადგინა. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით ორჯერ შეცვლილია სამუშაოთა შესრულების ვადა. საბოლოოდ, სამუშაოთა შესრულების ვადა განსაზღვრულია 2014 წლის 15 მარტის ჩათვლით. შპს „Phoenix“-თან გაფორმებული შეთანხმებების მიხედვით ვადების გადაწევა განპირობებულია საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირების, დამატებითი და გაუთვალისწინებელი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობით.

ზემოაღნიშნული მიზეზები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შემსყიდველის მიერ არასათანადოდაა შეფასებული შესყიდვის ობიექტი, რამაც გამოიწვია მისი არასრულყოფილად აღწერა სატენდერო

<sup>105</sup> დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის „1“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

<sup>106</sup> 410.0 ათასი ლარით

<sup>107</sup> 969.2 ათასი ლარი

<sup>108</sup> არ გაფორმებულა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი

<sup>109</sup> მონოლითური რკ/ბ ვარდნილი და გადართვის კამერების გადახურვით მოწყობის

<sup>110</sup> SPA150008780

<sup>111</sup> N 2.1/30/262-სავარაუდო ღირებულება 50.0 ათასი ლარი

<sup>112</sup> ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 38 200 ლარი

<sup>113</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება N1229

<sup>114</sup> მიღება-ჩაბარების აქტი N1 07.08.2015

<sup>115</sup> შესრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 163,2 ათასი ლარი.

დოკუმენტაციაში. აქედან გამომდინარე არასრულფასოვანი და გაუმართავია ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაცია.

მიუხედავად სამუშაოთა დასრულების ვადების გარძელებისა, შპს „Phoenix“-ის მიერ გაგრძელებულ ვადებშიც ვერ იქნა უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულება, რაზეც მერიის მიერ სამუშაოთა ვადის გადაცილებისათვის ყოველ გადაცილებულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოების თანხამ 13.5 ათასი ლარი შეადგინა.

მერიის მიერ 2013 წლის 18 ოქტომბერს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი<sup>116</sup> თბილისში, გლდანის რაიონში, გამარჯვების ქუჩის მიმდებარედ<sup>117</sup> „სააფთრე ხევი“-ს სანიაღვრე კოლექტორის სამშენებლო სამუშაოების<sup>118</sup> სახელმწიფო შესყიდვის მიზნით<sup>119</sup>. სატენდერო წინადადებების მიღება დამთავრებულია 2013 წლის 08 ნოემბერს. ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი 743.0 ათასი ლარი დაფიქსირებული აქვს შპს „მშენებელი XXI+“-ს. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად პრეტენდენტს 2011 წლის 1 იანვრიდან უნდა ჰქონოდა მინიმუმ 225.0 ათასი ლარის რკინაბეტონის კოლექტორების ან I კატეგორიის წყალარინების მილების მოწყობის სამუშაოების შესრულების გამოცდილება. სატენდერო კომისიის 2013 წლის 29 ნოემბრის N2 ოქმის მიხედვით მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესაბამისად ანალოგიური სამუშაოების შესრულებად ჩათვლილია მხოლოდ მერიასთან 2013 წლის 01 აგვისტოს დადებული<sup>120</sup> ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული 155.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. ამასთან, სატენდერო კომისიის 2013 წლის 29 ნოემბრის წერილით<sup>121</sup> დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვასთან ერთად უნდა წარმოედგინა მინიმუმ 69.0 ათასი ლარის ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად. 2013 წლის 02 დეკემბერს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია მოთხოვნილი დოკუმენტაცია, N2.1/30/270 ხელშეკრულება და მის საფუძველზე შედგენილი 225.0 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტებთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილი 69.0 ათასი ლარის ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტებად წარადგენილია კეთილმოწყობის სამსახურთან 2013 წლის 11 ნოემბერს -18.0 ათას ლარზე და 25 ნოემბერს - 51.0 ათას ლარზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები. ამდენად, შპს „მშენებელი XXI+“-ს სატენდერო წინადადებების მიღების დამთავრების დღისათვის<sup>122</sup> ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება არ გააჩნდა. მერიის სატენდერო კომისიის მიერ 2013 წლის 29 ნოემბერს ოქმიN2 შედგენამ (ელექტრონული ვაჭრობის ჩატარების დღიდან 20 დღის გასვლის შემდეგ) მას საშუალება მისცა დაეკმაყოფილებინა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების თაობაზე. სატენდერო კომისიის 2013 წლის 5 დეკემბრის N3 ოქმის მიხედვით მიჩნეულია, რომ წარდგენილი დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციას.

შპს „მშენებელი XXI+“-თან N2.1/30/464 ხელშეკრულება გაფორმებულია 2013 წლის 11 დეკემბერს 743.0 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულების ღირებულება 33,97%-ით დაბალია სავარაუდო ღირებულებაზე. კომპანიას სატენდერო კომისიის 2013 წლის 5 დეკემბრის წერილით<sup>123</sup> განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად წარდგენილი აქვს სადაზღვევო კომპანია „არდი

<sup>116</sup> SPA130022866

<sup>117</sup> კერძო სკოლა „ლილე“-სთან

<sup>118</sup> III ეტაპი

<sup>119</sup> სავარაუდო ღირებულება 1,126.0 ათასი ლარი.

<sup>120</sup> N2.1/30/270

<sup>121</sup> N07-15/13333644

<sup>122</sup> ელექტრონული ვაჭრობის დღე - 08 ნოემბერი

<sup>123</sup> N07-15/13339867

ჯგუფის“ მიერ გაცემული <sup>124</sup> ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით. აქედან გამომდინარე, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკების შემცირების მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა მერიას სრულად გამოეყენებინა მისთვის ზემოხსენებული ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლება და მიმწოდებლისათვის მოეთხოვა ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-ზე მეტი ოდენობით. <sup>125</sup>

ზემოხსენებული ხელშეკრულების 3.1 მუხლით სამუშაოების შესრულების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 180 დღით, ანუ 2014 წლის 9 ივნისის ჩათვლით. ხელშეკრულებაში 2014 წლის 6 ივნისს შეტანილი ცვლილების მიხედვით სამუშაოთა შესრულების ვადა გაგრძელებულია 2014 წლის 25 ივლისის ჩათვლით, ხოლო 26 ნოემბრის ცვლილებით ხელშეკრულების ღირებულება შემცირებულია 4.8 ათასი ლარით და განსაზღვრულია 738.0 ათასი ლარით. აღნიშნული კომპანია სამუშაოებს ახორციელებდა ვადების დარღვევით და შესაბამისად მის მიმართ გამოიყენებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. 2014 წლის 18 დეკემბერს შპს „მშენებელი XXI+“-ის ინიციატივის საფუძველზე, იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ დაკისრებული ჯარიმების გამო ვერ ახერხებდა სამუშაოების გაგრძელებას, მერიის მიერ შეწყვეტილია მასთან დადებული ხელშეკრულება. <sup>126</sup>

მერიის მიერ 2014 წლის 11 აპრილს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი <sup>127</sup> ჭედისა და შუშის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი ხიდის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია 793.0 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობას იღებდა ერთი პრეტენდენტი-შპს „ზიმო“ და საბოლოო ფასად დაფიქსირებულია 743.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ პრეტენდენტს საკუთრებაში და/ან იჯარით უნდა ჰქონოდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შპს „ზიმოს“ მიერ სატენდერო კომისიისათვის წარმოდგენილია შპს „კომპანია ბლექ სი გრუპთან“ 2014 წლის 2 მაისს გაფორმებული შეთანხმება განზრახულობათა შესახებ, რომლის თანახმად ეს უკანასკნელი ვალდებულებას იღებდა ზემოხსენებულ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში შპს „ზიმოსთვის“ გაეწია მომსახურება 6 თვის ვადით სხვადასხვა სახის საგზაო ტექნიკით. <sup>128</sup>

აღნიშნული შეთანხმება არ წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულებას, რადგან ამ შეთანხმებით ზემოხსენებული ტექნიკის შპს „ზიმოსათვის“ დროებით სარგებლობაში გადაცემა არ არის გათვალისწინებული. ამდენად, შპს „ზიმოს“ მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შეუსაბამობაშია სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან. <sup>129</sup> მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიის 2014 წლის 21 მაისის N2 ოქმის მიხედვით შპს „ზიმოსა“ და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ შორის გაფორმებული შეთანხმება მიჩნეულია სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისად, რამდენადაც ოქმში ამ შეთანხმებასთან მიმართებით არანაირი შენიშვნა არ არის გაკეთებული.

<sup>124</sup> 06.12.2013წ N FRI/13-037952

<sup>125</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21- მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტი.

<sup>126</sup> სულ შპს „მშენებელი XXI+“-ის მიერ შესრულდა 529.1 ათასი ლარის სამუშაოები.

<sup>127</sup> SPA140009922

<sup>128</sup> ავტოგრეიდერი; სატკეპნი გლუვი; ამწე მუხლუხა სვლაზე; ასფალტოდამგები; ავტოგუდრონატორი.

<sup>129</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის თანახმად იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გადოლის შედეგად შემოსავლის სახით.

მერიის მიერ 2015 წლის 16 მაისს შპს „რადამოტორსთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით<sup>130</sup> დადებულია ხელშეკრულება<sup>131</sup> ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მდებარე დიღმის ქალაში<sup>132</sup> მშენებარე სპორტული ოლიმპიური კომპლექსების გარშემო სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიის ფერდობების, დაჭაობებული და ტბორებით დაფარული ადგილების ლანდშაფტური დაგეგმარების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. ხელშეკრულების ღირებულება განსაზღვრულია 791.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სამუშაოების შესრულების ვადა - 2015 წლის 30 ივნისით<sup>133</sup>.

კეთილმოწყობის სამსახურის 2015 წლის 30 ივნისის წერილის<sup>134</sup> საფუძველზე, მერიასა და შპს „რადამოტორსს“ შორის 2015 წლის 30 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით, ნალექიანი ამინდების გამო, სამუშაოების შესრულების ვადა გაზრდილია 2015 წლის 21 ივლისამდე. მაშინ როდესაც მერიისადმი შპს „რადამოტორსის“ 2015 წლის 24 ივნისის N2 წერილიდან და სამუშაოთა შესრულების აქტებით დასტურდება<sup>135</sup>, რომ 2015 წლის 26 ივნისის მდგომარეობით შპს „რადამოტორსის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებული იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდის საფუძველი არ არსებობდა.

მერიის მიერ 2013 წლის 7 ივნისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>136</sup> რომლის შესყიდვის საგანს წარმოადგენდა: „ქ. თბილისში, წულუკიძის ქუჩა N6,7,8-დან კახეთის გზატკეცილის მიმართულებით ხევში არსებული სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები გამარჯვებულია შპს „მშენებელი“<sup>137</sup>. სახელშეკრულებო<sup>138</sup> ღირებულებამ შეადგინა 360.0 ათასი ლარი.

სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტს 2010-2013 წლებში უნდა ჰქონოდა მინიმუმ 270.0 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება. შპს „მშენებლის“ მიერ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში კი ატვრთულია შენობის სარეკონსტრუქციო, გზის სარეაბილიტაციო და საყრდენი კედლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საიდანაც გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ვერ ჩაითვლება ანალოგიურ სამუშაოებად, ხოლო საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების ღირებულება (222.5 ათასი ლარი) არ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა მოეხდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ვარკეთილის მე-III მასივის მე- X კვარტლის „ვ“ და „დ“ კორპუსებისა და ლილოს დასახლების მე-2 კვარტლის მე-3 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების შესყიდვაზე 2014 წლის 19 ნოემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>139</sup> 1,049.8 ათასი ლარით გამარჯვებულად გამოცხადებულ უცხოურ საწარმოს ფილიალ შპს „სტროისერვისგარანტთან“ 2015 წლის 27 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>140</sup> შესაბამისად კომპანიას ხელშეკრულების გაფორმებიდან 210 დღის განმავლობაში უნდა შესრულებინა ვარკეთილის მე-III მასივის მე-X კვარტლის „ვ“ კორპუსზე 298.5 ათასი ლარის,

<sup>130</sup> CMR150100774

<sup>131</sup> N8.7/10/300

<sup>132</sup> გლდან-აღმაშენებლის ხეივანის დამაკავშირებელი ხიდიდან მარჯვენა მხარეს

<sup>133</sup> 2015 წლის 9 და 26 ივნისს შეთანხმებით ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა და განისაზღვრა 735.6 ათასი ლარით.

<sup>134</sup> N07/15181523-18

<sup>135</sup> აღნიშნული აქტები დადასტურებული იყო 11.06.2016 წ. N1 და 26.06.2015წ N2 და სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს დასკვნებით (დასკვნები: 16.06.2105წ N5002948115 და 03.07.2015წ. N5003283815).

<sup>136</sup> SPA130012505

<sup>137</sup> საიდენტიფიკაციო კოდი: 404378179

<sup>138</sup> ხელშეკრულების ნომერი 2.1/30/269

<sup>139</sup> SPA140026832 სავარაუდო ღირებულება 1410,0 ათას ლარი

<sup>140</sup> N2.2/30/95

„დ“ კორპუსზე 352.8 ათასი ლარის და ლილოს დასახლების მე-2 კვარტლის მე-3 კორპუსზე 398.5 ათასი ლარის გამაგრება-გამძლიერების სამუშაოების შესრულება.

ლილოს კორპუსის სამუშაოებზე საპროექტო და შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაციაში 1200 მ3 დამუშავებული გრუნტის 20 კმ-ზე გატანა დაფიქსირებულია 222 ტონა, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული (1200\*1.85) 2220 ტონისა. შპს „სტროისერვისგარანტს“ ტენდერში მონაწილეობის დროს სატენდერო წინადადებაში მოცულობის შეუცვლელად ერთი ტონის გატანის ღირებულებად დაფიქსირებული აქვს არაგონივრულად მაღალი ფასი 85 ლარი, მაშინ, როცა „ვ“ და „დ“ კორპუსების შემთხვევაში ანალოგიურ სამუშაოზე წარმოდგენილი აქვს 12 ლარი. კომპანიის მიერ ხელშეკრულების გაფორმების დროს, ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებისას ზემოაღნიშნული პოზიციის ერთეულის ფასი დატოვებულია უცვლელად, ხოლო სხვა პოზიციებში საპროექტო ხარჯთაღრიცხვასთან<sup>141</sup> შედარებით, მასალებისა და სახელფასო თანხების შემცირების ხარჯზე არაგონივრულად აქვს გაზრდილი ფასები. კერძოდ, ერთი ტონა სამშენებლო მასალების გატანის ღირებულება 12 ლარიდან გაზრდილია 100 ლარამდე, ერთი ტონა ბალასტის შესყიდვის ღირებულება 9 ლარიდან 25 ლარამდე, ხოლო ერთი ტონა ბალასტის ტრანსპორტირების ღირებულება 12 ლარიდან 85 ლარამდე.

ზემოაღნიშნული შეუსაბამოებიდან გამომდინარე, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ვალდებულების გათვალისწინებით სატენდერო კომისიას შეეძლო გამოეყენებინა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის გ<sup>1</sup> ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება-შეეწყვიტა შესყიდვის პროცედურები და გამოეცხადებინა ახალი ტენდერი.

აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში სხვადასხვა გარემოებათა განხორციელებულია სამუშაოთა მოცულობების ცვლილებები. საპროექტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული მოცულობების უწყისების საფუძველზე<sup>142</sup> 2015 წლის 26 ივნისს შპს „სტროისერვისგარანტთან“ გაფორმებული შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება გაზრდილია 96.0 ათასი ლარით.<sup>143</sup> კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად „ვ“ კორპუსზე გამაგრება-გამძლიერების სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 250.0 ათასი ლარი „დ“ კორპუსზე 287.3 ათასი ლარი, ხოლო ლილოს დასახლებაში მდებარე N3 კორპუსზე შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 608.5 ათასი ლარი.<sup>144</sup> აღნიშნულ კორპუსზე სამუშაოების ღირებულებების 210.0 ათასი ლარით მატება გამოწვეულია ზოგიერთ პოზიციაზე მოცულობების მკვეთრი ზრდისა და ამ პოზიციებზე არაგონივრულად გაზრდილი ფასებით. კერძოდ, სამშენებლო მასალების გატანის (მონგრეული არხებისა და გადახურვის კონსტრუქციების) მოცულობა 61 ტონიდან გაზრდილია 216 ტონამდე, გრუნტის გატანის მოცულობა 222 ტონიდან გაზრდილია 2072 ტონამდე, მდინარის ხრეშოვანი ბალასტის მოცულობა 187 მ3-დან გაზრდილია 715 მ3-მდე და ტრანსპორტირებული ბალასტის მოცულობა 314.5 ტონიდან გაზრდილია 1322.75 ტონამდე.<sup>145</sup> სამუშაოების მოცულობების ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები საპროექტო სამუშაოების არასრულყოფილ შედგენაზე მიუთითებს.

სულ ლილოს კორპუსზე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 455.3 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების შესაბამისად მოცულობებისა და ერთეულის ფასების გაზრდის შედეგად მონგრეული არხებისა და გადახურვის კონსტრუქციების გატანის ფაქტობრივ და

<sup>141</sup> სადაც შესასრულებელი სამუშაოების ერთეულის ფასები მიახლოებულია მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ ამ პერიოდისათვის დადგენილი სამშენებლო რესურსების ფასებთან

<sup>142</sup> კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 26 ივნისის N10-18/15177643 წერილის შესაბამისად

<sup>143</sup> შეადგინა 1145.9 ათ. ლარი.

<sup>144</sup> გაიზარდა 210.0 ათასი ლარით, ძირითადად სხვა კორპუსებზე გათვალისწინებული სამუშაოების შემცირების ხარჯზე

<sup>145</sup> მოცულობების გაზრდა ძირითადად განხორციელდა იმ პოზიციებში სადაც, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით დაფიქსირდა შესასრულებელი სამუშაოების ერთეულის მაღალი ფასები



საპროექტო ღირებულებებს შორის სხვაობამ ამ შემთხვევაში შეადგინა 19.0 ათასი ლარი,<sup>146</sup> გრუნტის გატანის ფასთა შორის სხვაობამ გაზრდილი მოცულობის გათვალისწინებით შეადგინა 118.2 ათასი ლარი,<sup>147</sup> მდინარის ხრეშოვანი ბალასტის შესყიდვა გაიზარდა 9.9 ათასი ლარით,<sup>148</sup> ბალასტის ტრანსპორტირების პოზიციაში კი ფასთა შორის სხვაობამ შეადგინა 79.3 ათასი ლარი.<sup>149</sup> სულ სხვაობამ დანარიცხების გარეშე შეადგინა 226.4 ათასი ლარი, დანარიცხების გათვალისწინებით კი<sup>150</sup> 305.8 ათასი ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო				ფაქტიური			სხვაობა ფაქტიურსა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას შორის		
დასახელება	მოცულობა	ღირებულება		მოცულობა	ღირებულება		მოცულობა	ღირებულება	
		ერთ.	სულ		ერთ.	სულ		ერთ.	სულ
მონგრეული არხებისა და გადახურვის კონსტრუქციების გატანა	61 ტონა	12	732	216 ტონა	100	21600	216 ტონა	88	19008
გრუნტის გატანა	222 ტონა	12	2664	1618.75 ტონა	85	137593.75	1618.75 ტონა	73	118169
ბალასტი	187 მ <sup>3</sup>	9	1683	617მ <sup>3</sup>	25	15425	617მ <sup>3</sup>	16	9872
ბალასტის ტრანსპორტირება	314.5 ტონა	12	3774	1086 ტონა	85	92310	1086 ტონა	73	79278

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში და შესაბამისად კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესასრულებელ სამუშაოებზე იმ დროისათვის არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით, ერთეულის ზღვრული ფასების დაწესების შემთხვევაში, ლილოს კორპუსზე შესრულებული 455.3 ათასი ლარის სამუშაოებიდან, შესაძლებელი იქნებოდა 305.8 ათასი ლარის ეკონომიის მიღწევა.

ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის შესაბამისად „SUISSE CREDIT CAPITAL(2009) LIMITED“-ის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე კომპანიას ავანსის სახით ჩაერიცხა სახელშეკრულებო ღირებულების 50% იდან გამომდინარე 524.9 ათასი ლარი.

სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისად 2015 წლის 24 ნოემბრამდე პერიოდში კომპანიის მიერ სულ შესრულებულია მხოლოდ 680.6 ათასი ლარის სამუშაოები.<sup>151</sup> აქედან ვარკეთილის მე-III მასივის მე-X კვარტლის „ვ“ კორპუსზე 177.6 ათასი ლარის სამუშაოები, „დ“ კორპუსზე 47.7 ათასი ლარის და ლილოს დასახლების მე-2 კვარტლის მე-3 კორპუსზე 455.3 ათასი ლარის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები. ლილოს კორპუსზე კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 71 პოზიციიდან შესრულებულია მხოლოდ 29 პოზიცია.

ავანსისა და შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით კომპანიაზე სულ გადარიცხულია 746.1 ათასი ლარი. კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 27 ნოემბრის<sup>152</sup> სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ სამუშაოების საკმაოდ დაბალი ტემპით მიმდინარეობისა და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მერიის მიერ 2015 წლის 2 დეკემბრს<sup>153</sup> ცალმხრივად შეწყვეტილი ხელშეკრულება შპს „სტროისერვისგარანტთან“ და დაკისრებულია

<sup>146</sup> 216\*100-216\*12

<sup>147</sup> 1618.75\*85-1618.75\*12

<sup>148</sup> 617\*25-617\*9

<sup>149</sup> 1085.95\*85-1085.95\*12

<sup>150</sup> ზედნადები ხარჯები 6%, მოგება 8% და დღგ 18%

<sup>151</sup> სახელსკრულებლო ღირებულების 59.4%

<sup>152</sup> N10-18/17489

<sup>153</sup> N 5/67599 წერილით

პირგასამტეხლოს სახით 122.6 ათასი ლარის გადახდა. მიღებული თანხებისა და შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით ავანსზე გარანტის გამცემი ორგანიზაციიან უკან დაბრუნებას დაექვემდებარა ასევე 65.5 ათასი ლარი.

აუდიტის პერიოდში მერიის საფინანსო სამსახურიდან წარმოდგენილი ცნობის შესაბამისად გარანტის გამცემმა უარი განაცხადა საავანსო თანხის დაბრუნებაზე, კომპანია „სტროისერვისგარანტის“ მიერ კი 2016 წლის 31 მაისამდე პერიოდში დასაბრუნებელი თანხებიდან დაბრუნებულია 42.0 ათასი და დავალიანება დღეის მდგომარეობით შეადგენს 18.5 ათას ლარს.

გლდანის რაიონში დიდი ხევძმარის სანიაღვრე კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვაზე 2014 წლის ოქტომბერში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>154</sup> გამარჯვებულ შპს „პალიტრა“-ს 2014 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>155</sup> საფუძველზე 665.9 ათასი ლარის სამუშაოები უნდა შესრულებინა. შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში<sup>156</sup> პირდაპირი ხარჯები განფასებული იყო საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა<sup>157</sup> და საქართველოს შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემული „სამშენებლო რესურსების ფასების“ ცნობარების საფუძველზე.

შპს „პალიტრა“-ს სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში, პირდაპირი ხარჯების ზოგიერთ პოზიციაში დაფიქსირებული ჰქონდა საპროექტო ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ ფასებთან შედარებით მაღალი ფასები, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისად ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების შემდეგ კიდევ უფრო გაზრდილია ცალკეული სამუშაოების ერთეულის ღირებულებების შემცირებისა და ნულოვანი განფასებების ხარჯზე. მაგალითად, ექსკავატორით 1მ<sup>3</sup> III ჯგუფის მშრალი ყამირის დამუშავება ქვაბულში საპროექტო ხარჯთაღრიცხვით განფასებულია 0.9528 ლარად, სატენდერო წინადადებით 5 ლარად, ხოლო სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით კი გაზრდილია 8 ლარამდე, 1მ<sup>3</sup> დამუშავებული ყამირის დატვირთვა ექსკავატორით ავტოთვითმცლელზე საპროექტო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 1.268 ლარი, სატენდერო წინადადებით 5 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით 8 ლარი. ერთი ტონა ყამირის გატანა 100მ ფარგლებში, საპროექტოს მონაცემებით 1.46 ლარი, სატენდერო წინადადებით 0.8 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით კი გახდა 6 ლარი.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში არსებული პროექტის კორექტირებისა და შესაბამისად მერიასა და შპს „პალიტრა“-ს შორის 2015 წლის 2 თებერვალს და 2015 წლის 8 აპრილს გაფორმებული შეთანხმებების შესაბამისად სახელშეკრულებო ღირებულება გაზრდილია 66.4 ათასი ლარით და შეადგინა 732.3 ათასი ლარი. კორექტირებული ხარჯთაღრიცხვისა და წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების თანახმად ექსკავატორით მშრალი ყამირის დამუშავების, დატვირთვისა და 100მ მანძილზე გატანის სამუშაოებზე არსებულ პოზიციებზე მოცულობების მკვეთრი ზრდისა<sup>158</sup> და შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებების გაზრდით საწყისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების ჩამონათვალი (რაოდენობა) 110 პოზიციიდან შემცირებულია 22 პოზიციამდე. კერძოდ, მშრალი ყამირის დამუშავება ქვაბულში ექსკავატორით, ნაცვლად 638მ<sup>3</sup>-ისა გაზრდილია 17498 მ<sup>3</sup>-მდე. საპროექტო ხარჯთაღრიცხვით 1მ<sup>3</sup> გრუნტის დამუშავების ღირებულებაზე არსებული ერთეულის ფასებისა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს აქტში დაფიქსირებული ერთეულის ფასებიდან გამომდინარე სხვაობამ

<sup>154</sup> (SPA140025289) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 760.5 ათას ლარი

<sup>155</sup> N2.1/30/440

<sup>156</sup> შესაბამისად სავარაუდო ღირებულებაც

<sup>157</sup> СНиП IV-2-82

<sup>158</sup> საპროექტო ხარჯთაღრიცხვით აღნიშნული პოზიციების ჯამური ღირებულება შეადგენდა სახელშეკრულებო ღირებულების დაახლოებით 10%-ს, ხოლო კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით და შესრულებული სამუშაოს აქტით გაიზარდა 65%-მდე.

ხარჯთაღრიცხვის ამ პოზიციის მიხედვით დანარიცხების გარეშე შეადგინა 123.3 ათასი ლარი<sup>159</sup>. 1მ<sup>3</sup> დამუშავებული ყამირის დატვირთვა ექსკავატორით ავტოთვითმცლელზე 4017 მ<sup>3</sup>-დან გაზრდილია 10355 მ<sup>3</sup>-მდე. სხვაობამ ხარჯთაღრიცხვის ამ პოზიციის მიხედვით დანარიცხების გარეშე შეადგინა 69.7 ათასი ლარი<sup>160</sup>, გრუნტის გატანა 100 მეტრ მანძილზე 4387.5 ტონიდან გაზრდილია 15532.5 ტონამდე. საპროექტო და ფაქტიური შესრულების ერთეულის ფასებიდან გამომდინარე სხვაობამ ამ პოზიციის მიხედვით დანარიცხების გარეშე შეადგინა 70.5 ათასი ლარი<sup>161</sup>. სულ სხვაობამ სამივე პოზიციის მიხედვით დანარიცხების გარეშე შეადგინა 263,5 ლარი, დანარიცხების გათვალისწინებით<sup>162</sup> კი 369.4 ათასი ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში და შესაბამისად კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესასრულებელ სამუშაოებზე იმ დროისათვის არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით, ერთეულის ზღვრული ფასების დაწესების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა 369.4 ათასი ლარის ეკონომიის მიღწევა.

### რეკომენდაცია:

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების ცალკეულ პოზიციებზე არაგონივრულად გაზრდილი ერთეულის ფასები თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია სატენდერო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოების თითოეული პოზიციის ზღვრული ღირებულებებით განფასება.

### გამარტივებული შესყიდვები

კეთილმოწყობის სამსახურს დაქვემდებარებულ პროგრამული ღონისძიებებით განსაზღვრულ სამუშაოებზე<sup>163</sup> 2013-2015 წლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სულ გაფორმებულია 368 ხელშეკრულება.<sup>164</sup> აქედან 2013 წელს - 80 ხელშეკრულება, 2014 წელს - 68 ხელშეკრულება და 2015 წელს კი 220 ხელშეკრულება<sup>165</sup>.

„სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანებისა და საქართველოს მთვრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, ხოლო შემსრულებელი კომპანიების მიერ დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმების და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური დარიცხვის გარეშე.

აუდიტით დადგინდა, რომ საგზაო სამუშაოებზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვები და მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტები<sup>166</sup> არ არის გაფორმებული ლოკალურ-რესურსული მეთოდით და შესაბამისად სამუშაოები მოცემულია გამსხვილებულად ხელფასის, მასალისა და მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაციის ღირებულებების გამიჯვნის გარეშე.

<sup>159</sup> 17498\*8-17498\*0.9528

<sup>160</sup> 10355\*8-10355\*1.268

<sup>161</sup> 15532.5\*6-15532.5\*1.46

<sup>162</sup> ზედნადები ხარჯები 10%, მოგება 8% და დღგ 18%

<sup>163</sup> ორგანიზაციული კოდები 1.1.1, 2.1, 2.2, 2.3, 2.9.1, 7.1.2, 8.7, 2.11.2

<sup>164</sup> შესაბამისად ხელშეკრულებები გაფორმებულია 368 კომპანიასთან.

<sup>165</sup> აქედან 148 შესყიდვა ჩატარებულია 2015 წელს თბილისში ოლიმპიადის ჩატარებისა და 2015 წლის ივნისში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

<sup>166</sup> ფორმა N2

<sup>167</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის N 251 ბრძანების „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხვევლობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ.“

2013 წელს და 2014 წლის აგვისტოს თვემდე სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამუშაოების ღირებულების ფაქტიური დანახარჯების შესაბამისად განსაზღვრაზე, დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმების და ინვენტარის ქირავნობის ღირებულებაზე ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების დარიცხვის გარეშე წარმოდგენაზე კონტროლი განხორციელებული არ არის.<sup>167</sup> შესაბამისად, გაურკვეველია ცალკეული სამუშაოების მიხედვით, შრომის ანაზღაურების, მომსახურებისა და გამოყენებული მატერიალური ფასეულობების ღირებულების ფაქტობრივ დანახარჯებთან შესაბამისობის საკითხი.

ქ. თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015-ის“ ფარგლებში სხვადასხვა სპორტულ ობიექტებთან ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების, ასფალტის საფარისა და გაზომომარაგების გარე ქსელის მოწყობასთან დაკავშირებით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვები, საქართველოს მთავრობის განკარგულებების<sup>168</sup> საფუძველზე გამოყოფილი 18,494.6 ათასი ლარის ფარგლებში განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჭირო საქონლის, სამშენებლო სამუშაოებისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად. მერიისათვის „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის 2015 წლის ივლისის თვეში ჩატარების შესახებ ცნობილი იყო 2010 წლის ნოემბერში<sup>169</sup>, შესაბამისად ქ. თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სპორტულ ობიექტებთან ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების, ასფალტის საფარისა და გაზომომარაგების გარე ქსელის მოწყობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე შესყიდვების 2011-2014 წლებში დაგეგმვითა და ტენდერების საშუალებით შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, სამუშაოების შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ჩატარების აუცილებლობა არ დადგებოდა და კონკურენციის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო თანხების ეკონომიური ხარჯვა.

2015 წლის 1 იანვრიდან სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მიმწოდებელი ვალდებული იყო შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებამდე წარმოედგინა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ. ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებდა მერია, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვებში ამ მიზნით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში. საექსპერტო მომსახურების ღირებულება მიმწოდებელი კომპანიების მიხედვით განსხვავებულია და მერყეობს შესასრულებელი სამუშაოების 0.4% დან 5.6%-მდე. 2015 წელს ექსპერტიზის თანხების სახით სამუშაოების შემსრულებელ კომპანიებზე მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად გადახდას ექვემდებარებოდა 846.9 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე კი გადახდილია 705.3 ათასი ლარი. საექსპერტო მომსახურება კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ჩატარებული აქვს, როგორც სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ასევე სხვა აუდიტორულ კომპანიებს. რიგ შემთხვევებში სამუშაოების შემსრულებელი კომპანიები ხელშეკრულებების შესაბამისად ვალდებული იყვნენ შესრულებული სამუშაოების ღირებულებების ფაქტობრივ

<sup>167</sup> არ არსებობს შესაბამისი საექსპერტო დასკვნები

<sup>168</sup> 2015 წლის 15 იანვრის N7, 2015 წლის 6 მაისის N 913

<sup>169</sup> ქ. თბილისში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო 2010 წლის 27 ნოემბერს ბელგიაში ევროპის ოლიმპიური კომიტეტის რიგით 39-ე გენერალურ ანსაზღაურებაზე.

დანახარჯებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საექსპერტო მომსახურებაზე წარმოდგინათ მხოლოდ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.

კომპანიებთან 2015 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებებში საექსპერტო მომსახურების ღირებულების პროცენტული მაჩვენებლები კომპანიებთან შეთანხმებით დადგენილია მერიის მიერ. მომსახურების პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრის კრიტერიუმების შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა. ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებდა მერია, თუმცა აღნიშნული პროცენტების ფარგლებში თვით კომპანიის მიერ ხდებოდა საექსპერტო მომსახურების შემსრულებელი ორგანიზაციების შერჩევა, ხელშეკრულებების გაფორმება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსპერტიზის თანხების გადახდა. დაუსაბუთებელია თუ როგორ ხდებოდა ხარჯთაღრიცხვაში ექსპერტიზის ღირებულების პროცენტული ოდენობის განსაზღვრა, მაშინ როცა ზოგიერთ შემთხვევაში დიდი ღირებულების სამუშაოზე ექსპერტიზის მომსახურება განფასებულია უფრო დიდი პროცენტული ოდენობით ვიდრე მცირე ღირებულების სამუშაოებზე, რაც არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილებით განსაზღვრულ სსიპ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფებს, რომელთა პროცენტული ოდენობები შესაფასებელი სამუშაოების ღირებულებების ზრდის პროპორციულად მცირდებოდა.

2015 წლის განმავლობაში კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სამშენებლო, სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებების საექსპერტო მომსახურებაზე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული ტარიფების გამოყენების შემთხვევაში ბიუჯეტიდან ფაქტიურად გადახდილი 579.2 ათასი ლარის ნაცვლად გადასახდელი იქნებოდა 347.5 ათასი ლარი. მაგალითად ქ. თბილისში მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ხიდის მშენებლობისა და გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე არსებული ავტომაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე მერიასა და შპს „კავკასუს როუდ პროჯექტს“ შორის 2015 წლის 6 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>170</sup> შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 8,616.6 ათასი ლარი. აქედან საექსპერტო მომსახურებისათვის 2%-დან გამომდინარე გათვალისწინებული იყო 162.8 ათასი ლარი. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით<sup>171</sup> კი გადახდილია 158.9 ათასი ლარი, დადგენილებით დამტკიცებული ტარიფებით<sup>172</sup> გადაუდებელი სამუშაოების გათვალისწინებით 1%-დან გამომდინარე გადასახდელი იქნებოდა 81.0 ათასი ლარი. ქ. თბილისში გმირთა მოედანთან სტიქიის შედეგად დაზიანებული საგზაო სამოსის აღდგენის სამუშაოების, კუნძულებისა და მტკვარზე მოაჯირების აღდგენის სამუშაოების და გმირთა მოედანთან სტიქიის შედეგად დაზიანებული საგზაო სამოსის აღდგენის სამუშაოების მე-2 ეტაპის შესყიდვაზე მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების<sup>173</sup> შესაბამისად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების<sup>174</sup> ღირებულებამ შეადგინა 2,648.5 ათასი ლარი, გადახდილმა საექსპერტო მომსახურებამ კი 2.4% დან გამომდინარე შეადგინა 62.1 ათასი ლარი. დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად კი გადასახდელი იქნებოდა შესრულებული სამუშაოების 1% - 26.5 ათასი ლარი.

## რეკომენდაცია

რამდენადაც ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს კეთილმოწყობის სამსახური, საბიუჯეტო თანხების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია კომპანიებთან

<sup>170</sup> N2.11.2/10/527

<sup>171</sup> 8101.7 ათასი ლარი

<sup>172</sup> გადაუდებელი სამუშაოების გათვალისწინებით

<sup>173</sup> N2.11.2/10/492 და N 2.11.2/10/512

<sup>174</sup> ორივე ხელშეკრულების შესაბამისად 2648.5 ათასი ლარი

გაფორმებულ ხელშეკრულებებში სამშენებლო, სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებების საექსპერტო მომსახურების პროცენტული მაჩვენებლები დადგინდეს „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N 171 დადგენილების შესაბამისად.

ქ. თბილისში, სხვადასხვა რაიონების გზების მიმდინარე შეკეთებისა და დაზიანებული ა/ბატონის საფარის ოპერატიულად აღდგენის მიზნით 2013 წლის 18 იანვარს სს საგზაო კომპანია „თბილისთან“, შპს „პარმასთან“, შპს „არსაკიძე 2000“-თან, შპს „გზამშენი 4“ -თან და შპს „ჯეთფათერ-ჯორჯიასთან“ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ხელშეკრულებების<sup>175</sup> გაფორმების<sup>176</sup> საფუძველად წარმოდგენილია მხოლოდ ქ. თბილისის მერის მოადგილის წერილობითი თანხმობა<sup>177</sup>. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად,<sup>178</sup> გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება წერილობით უნდა შეთანხმდეს შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან. აღნიშნული შეთანხმება აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილი ვერ იქნა.

ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს არსებული გზებისა და ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით მერიის 2014 წლის 4 ნოემბრის წერილისა<sup>179</sup> და საკრებულოდან მიღებული თანხმობის<sup>180</sup> საფუძველზე, 2014 წლის 14 ნოემბერს შპს „იბოლია“-სთან გაფორმებულია 952.7 ათასი ლარის ღირებულების<sup>181</sup> ხელშეკრულება. ვინაიდან წერილში არ იყო მითითებული დაზიანებული ქუჩების ჩამონათვალი და მიმწოდებელთანაც გაფორმებული იყო ზოგადი ხასიათის ხელშეკრულება, კონკრეტული ობიექტების დასახელების გარეშე. შესაბამისად დაუსაბუთებელია თუ რა ვითარებიდან გამომდინარე გახდა აუცილებელი მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს არსებული გზებისა და ქუჩების შეკეთების სამუშაოების, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელება<sup>182</sup>.

ქ. თბილისში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გადლიერების სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ცალკეულ შემთხვევაში, სხვადასხვა მიმწოდებლებთან გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ხელშეკრულებები გაფორმებულია საკრებულოს თავმჯდომარის წერილობითი თანხმობის მიცემიდან არაგონივრულ ვადებში, რაც წინააღმდეგობაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებთან<sup>183</sup>, რომლის თანახმად სახელმწიფო შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს ან საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში. კერძოდ, ქ.

<sup>175</sup> N 1.1.1/10/37-5, N 1.1.1/10/37-7, N 1.1.1/10/37-4, N 1.1.1/10/37-8, N 1.1.1/10/37-6.

<sup>176</sup> საერთო სახელშეკრულებო ღირებულება 595.0 ათასი ლარი

<sup>177</sup> 2013 წლის 17 იანვრის წერილი N10-18/212

<sup>178</sup> მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

<sup>179</sup> N 05-1/14308985

<sup>180</sup> 2014 წლის 13 ნოემბრის წერილი N05/14317543-1

<sup>181</sup> N 1.1.1/10/384

<sup>182</sup> ვინაიდან საკრებულოსათვის გაგზავნილ წერილში არ იყო მითითებული შესაკეთებელი ქუჩების ჩამონათვალი, შესაბამისად გაურკვეველია თუ რომელი კონკრეტული ობიექტები მოითხოვდა სამუშაოების დაუყოვნებლივ განხორციელებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება და ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული ან/და რომლის დადგომა არა არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან/და რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.

<sup>183</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან,

თბილისში, ვარკეთილი IIIა მ/რ-ში მდებარე N338 კორპუსის გამაგრება-გადლიერების სამუშაოების შესყიდვის მიზნით, შპს „ივერმშენი 2“-თან 2013 წლის 21 იანვარს გაფორმებულ ხელშეკრულებაში<sup>184</sup>, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველად მითითებულია 2012 წლის 15 მაისის წერილი<sup>185</sup>. თბილისის მერიის შესყიდვების სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა ზემოაღნიშნული ნომრის 5 წერილი,<sup>186</sup> რომლებიც დათარიღებულია 17, 18, 21 და 30 მაისით და ითვალისწინებდა არა კორპუსის გამაგრება-გადლიერების სამუშაოების, არამედ გულიას მოედნის მიმდებარედ, „ტაბახმელას ხევის“ და ნუცუბიდის პლატოს მე-4 მ/რ-ის მე-3 კვარტალში N32-36 კორპუსებთან სანიაღვრე კოლექტორების აღდგენითი სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვას. თანხმობის გაცემიდან არაგონივრულ ვადაშია განხორციელებული აგრეთვე ქ. თბილისში, პეკინის ქ. N2-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გადლიერების სამუშაოები, რომელთა გამარტივებული წესით შესყიდვების მიზნით შპს „ნადიგოსთნ“-თან, ხელშეკრულება<sup>187</sup> გაფორმებულია 2015 წლის 17 ივნისს, მაშინ როცა საკრებულოს წერილობითი თანხმობა გაცემულია 2014 წლის 17 ნოემბერს.

### სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები

2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებიდან, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებულია მხოლოდ დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენის სამუშაოების შესყიდვები, ხოლო სტიქიის შედეგად დაღუპული მოქალაქეების ოჯახისათვის ფინანსური დახმარება, დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის და სხვა სახის ფულადი დახმარებების სახით გამოყოფილი თანხების დაფინანსება კი განხორციელებულია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის, ვაკის, საბურთალოს, ისნის და მთაწმინდის რაიონული გამგეობების მიერ.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვაზე საქართველოს მთავრობის განკარგულებების<sup>188</sup> საფუძველზე გამოყოფილია 30,047.0 ათასი ლარი. 2015 წლის 1 ივნისიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად საკასო შესრულებამ კი შეადგინა 27,310.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 ივნისის N 278 დადგენილების შესაბამისად 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგად დაზიანებულ ადგილებზე გაწმენდითი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები გათავისუფლებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრულ შესრულებული სამუშაოების ღირებულებების ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით წარმოდგენისაგან.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N1618 განკარგულებით 2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში ძლიერი წვიმებით გამოწვეული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი სამუშაოებისა და საექსპერტო მომსახურებისათვის დამატებით გამოყოფილია 17,800.0 ათასი ლარი. აქედან სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყოფილია 17,638.5 ათასი ლარი, ხოლო საექსპერტო მომსახურებისათვის კი მთლიანი ღირებულების 0.9%-დან გამომდინარე 161.5

<sup>184</sup> N2.2/10/38-8

<sup>185</sup> N10-18/4266

<sup>186</sup> დათარიღებულია 17-18-21 და 30 მაისით,

<sup>187</sup> CMR150118338, N 2.2/10/376

<sup>188</sup> 2015 წლის 14 ივნისის N 1229, 2015 წლის 23 ივლისის N 1618, 2015 წლის 10 ნოემბრის N 2414 და 2015 წლის 25 დეკემბრის N 2794

ათასი ლარი. ფაქტიურად ამ განკარგულების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 16,723.4 ათასი ლარი, საექსპერტო მომსახურების საერთო ღირებულებამ კი 295,2 ათასი ლარი. მაშინ როცა მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N1618 განკარგულების შესაბამისად ექსპერტიზაზე 0.9% იანი განაკვეთის გათვალისწინებით, 2015 წლის 10 ნოემბრამდე პერიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებში<sup>189</sup> საექსპერტო მომსახურების ღირებულება უნდა ყოფილიყო 150.5 ათასი ლარი.

## საახალწლო სახლები

საახალწლო ღონისძიებებისათვის ჯიხურების შესყიდვაზე<sup>190</sup> 2014 წლის 23 დეკემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით<sup>191</sup> ქალაქ მერიასა და ინდ. მეწარმე „იოსებ ნარგიზაშვილს“<sup>192</sup> შორის გაფორმებული ხელშეკრულების<sup>193</sup> შესაბამისად შესყიდულია და დამონტაჟებულია 31 ცალი 140.6 ათასი ლარის ღირებულების საახალწლო ჯიხურები.

აღნიშნული სახლების კონსტრუქციული წყობის, ღირებულებებისა და მოხმარების ვადებიდან გამომდინარე მათი შემდგომ პერიოდში მრავალჯერადი გამოყენების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებული არ არის.

აღნიშნული ჯიხურები 2015 წლის 23 იანვარიდან<sup>194</sup> დღემდე დაშლილ მდგომარეობაში ინახება ქალაქ მერიის საწყობში და მათი შემდგომი გამოყენება არ განხორციელებულა.<sup>195</sup> მაშინ როცა ისინი განეკუთვნება ძირითად აქტივებს და მათი ღირებულებებისა და მოხმარების ვადებიდან გამომდინარე მრავალჯერადი გამოყენებისაა.

## ჯეთფათჯერ ჯორჯია

ქ. თბილისის მასშტაბით დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ოპერატიულად აღდგენის მიზნით ბიტუმის ემულსიის და ბაზალტის წვრილმარცვლოვანი ფრაქციის ნარევის წნევით საფარის დამუშავების სამუშაოების შესყიდვაზე 2013-2015 წლებში მერიასა და შპს „ჯეთფათჯერ ჯორჯიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 21020.5 მ/კვ, ღირებულებით 5,044.1 ათასი ლარი. აქედან 2 შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხოლო 4 შესყიდვა კი ელექტრონული ტენდერის საშუალებით. 2014 წლის 1 ივლისამდე პერიოდში შპს „ჯეთფათჯერ ჯორჯიას“ მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისად ქუჩების მიხედვით წერილობითი დავალებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

დაზიანებული გზის საფარის ოპერატიულად აღდგენის მიზნით, 2013 წლის 18 იანვარს მერიასა და შპს „ჯეთფათჯერ ჯორჯიას“ შორის გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების<sup>196</sup> მიხედვით წნევით საფარის დამუშავების ღირებულებამ 1კვ/მ-ზე შეადგინა 385.7 ლარი, ხოლო 2013 წლის იანვრის თვეში გამოცხადებული<sup>197</sup> ტენდერის შედეგად ამავე კომპანიასთან გაფორმებული<sup>198</sup> ხელშეკრულებით 1 კვ/მ-ზე ანალოგიური სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 396.9 ლარს. 2014 წლის აპრილის თვეში გამარტივებული შესყიდვის ფორმით შპს „ჯეთფათჯერ

<sup>189</sup> მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N2414 განკარგულებით ცვლილება შევიდა მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N1618 განკარგულებაში და გაუქმდა ექსპერტიზის მომსახურებაზე დადგენილი ტარიფები

<sup>190</sup> თანმდევი მომსახურებით ტრანსპორტირება, მონტაჟი

<sup>191</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის N2357 განკარგულების საფუძველზე

<sup>192</sup> საიდენტიფიკაციო კოდი (01013011975)

<sup>193</sup> ხელშეკრულების N2.9.1/10/465

<sup>194</sup> ჯიხურები დემონტაჟის შემდგომ

<sup>195</sup> მიუხედავად იმისა, რომ სახლები ინახება გადახურულ საწყობში ზოგიერთ ხის მასალას აღენიშნება ნაწილობრივი ნაკვალევი, ხოლო რკინის კონსტრუქციული ნაწილები დაჟანგებულია

<sup>196</sup> N 1.1.1/10/37-6

<sup>197</sup> SPA130000789

<sup>198</sup> N1.1.1/30/73-1



ჯორჯიასთან“ გაფორმებული<sup>199</sup> ხელშეკრულებით 1 კბ/მ-ზე სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 359.2 ლარი, ხოლო 2014 წლის 13 მაისს და 8 ოქტომბერს გამოცხადებული ტენდერების<sup>200</sup> შედეგად გაფორმებულ ხელშეკრულებებში<sup>201</sup> 1 კბ/მ-ზე სამუშაოების ღირებულებამ კი შეადგინა შესაბამისად 376.1 და 373 ლარი. 2013 წელს გამოცხადებულ ტენდერებში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

დაზიანებული გზის საფარის ოპერატიულად აღდგენის მიზნით, გამოცხადებულ ტენდერებში შპს „ჯეთფათჯერ ჯორჯია“ მონაწილეობს კონკურენციის გარეშე<sup>202</sup>, შესაბამისად ტენდერის გამოცხადებისა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის დროს გამარტივებული შესყიდვისას დაფიქსირებული ერთეულის ფასების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო თანხების რაციონალური ხარჯვა.

დაზიანებული გზის საფარის ოპერატიულად აღდგენის მიზნით გამოცხადებული ტენდერების ტექნიკურ მოთხოვნებში და შესაბამისად შპს „ჯეთფათჯერ ჯორჯიას“-თან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი მასალების განმარტებებში აღნიშნულია მასალების დასაშვები ნორმები როგორც ღორღზე ასევე ბიტუმის ემულსიაზე. აუდიტით დადგინდა, რომ შპს „ლაბორატორიის“ მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების შემოწმება ხორციელდებოდა სამუშაოებისათვის მისაწოდებელი მასალების წონის დადგენის გზით<sup>203</sup>, აღნიშნული ჩანაწერების შენახვისა და შემდგომი დადოკუმენტირების გარეშე. შესრულებულ სამუშაოებზე გამოყენებული მასალების დასაშვებ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

## ჯინო პარკი

ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის N30.17.1216 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობის სახელით მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ჯინო პარკს“ შორის 2011 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა<sup>204</sup> და საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 9 დეკემბრის N09/12/02 განკარგულების შესაბამისად შპს „ჯინო პარკს“ პირდაპირი მიყიდვის წესით 2,150.0 ათას ლარად გადაეცა თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული 215000 კვმ. მიწის ნაკვეთები<sup>205</sup>. შპს „ჯინო პარკს“ 7 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიციის ფარგლებში აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე უნდა აეშენებინა და მოეწყო დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი გასართობი ცენტრი და ოლიმპიური თამაშების პერიოდში მერიის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყო საპრივატიზაციო ტერიტორიაზე მოწყობილ პარკში ოლიმპიური თამაშების სახეობათა<sup>206</sup> შესაბამისი ობიექტების უპირობოდ დათმობა ოლიმპიური თამაშებისათვის მერიის მიერ მოთხოვნილ რეჟიმში, რაიმე საფასურის ან ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე. სანაცვლოდ შპს „ჯინო პარკს“ 2011 წლის 12 ოქტომბრის წერილის<sup>207</sup> შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის N30.18.1217 დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით ქ. თბილისის მთავრობა, როგორც ხელშეკრულების მხარე ვალდებულია იღებდა 2012 წლის 31 მარტამდე შეესრულებინა ნასყიდობის საგნამდე საიჟინრო ქსელების, კერძოდ კი სასმელი წყალი-დღეღამეში 500 მ<sup>3</sup> - 120მმ, კანალიზაცია 400მმ, ელექტროენერგია 2.0მვ/სთ და ბუნებრივი გაზი 500მ<sup>3</sup>/სთ მიყვანა. აღებული ვალდებულებების

<sup>199</sup> N 1.1.1/10/106

<sup>200</sup> SPA140012435 SPA140023629

<sup>201</sup> N1.1.1/330/205, N1.1.1/30/364

<sup>202</sup> რადგანაც სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო ტექნიკა გააჩნია მხოლოდ აღნიშნულ კომპანიას.

<sup>203</sup> გარეელი და შემდგომ დატვირთული ავტომანქანების წონების შედარებით.

<sup>204</sup> სარეგისტრაციო ნომრის გარეშე

<sup>205</sup> 1 კვ.მ- 10 ლარად

<sup>206</sup> ქვიშის მინიფეხბურთი და ფრენბურთი, ცურვა-25 მ. აუზი

<sup>207</sup> N07/135907-2

შესახებ არაფერია აღნიშნული მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ჯინო პარკს“ შორის 2011 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებაში.

აუდიტით დადგინდა, რომ ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით მერიის მიერ 2012-2013 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების<sup>208</sup> შესაბამისად სულ შესრულებულია 1,774.1 ათასი ლარის სამუშაოები. აქედან წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის მიყვანაზე 1,455.0 ათასი ლარის სამუშაოები, გაზომარაგების ქსელის მიყვანაზე 45.4 ათასი ლარის სამუშაოები, სატრანსფორმატორო ჯიხურისა და დაბალი ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობების მონტაჟზე და 6/10კვ ძაბვის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებაზე 273.7 ათასი ლარის სამუშაოები.

გარდა აღნიშნული სამუშაოების ყოველგვარი დადგენილებისა და სათანადო ნებართვების გარეშე 2013-2014 წლებში ჯინო პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისა და გზის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებზე მერიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების<sup>209</sup> შესაბამისად სულ შესრულებულია 1,450.2 ათასი ლარის სამუშაოები. აქედან საგზაო სამუშაოებზე 1,405.2 ათასი ლარის და გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებზე კი 45.0 ათასი ლარის სამუშაოები. სულ შპს „ჯინო პარკი“-ის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით მერიის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა შეადგინა 3,224.3 ათასი ლარი.

კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ მიწაზე აღნიშნული სამუშაოების შესრულების ვალდებულების სამართლებრივი საფუძვლების, მერიის მიერ შესრულებული სამუშაოების სანაცვლოდ 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალის დროს პარკში განთავსებული ობიექტების<sup>210</sup> უპირობოდ დათმობისა და მერიის მიერ დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი გასართობი ცენტრის გამოყენების შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

## აბრები

2013-2014 წლებში ქ.თბილისში კულტურული და ისტორიული ძეგლების, ისტორიული თბილისის მასშტაბით ქუჩის დასახელებისა და ზოგადად ქ. თბილისის მასშტაბით ქუჩების დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების დამზადება-მონტაჟით მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად<sup>211</sup> სულ შესრულებულია 562.6 ლარის სამუშაოებიდან 336.8 ათასი ლარის სამუშაოებზე<sup>212</sup> კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის ადგილი, კონკრეტული რაოდენობა, მიწოდების კონკრეტული ვადები, მანიშნებლებზე დასატანი წარწერები და ნუმერაციის ამსახველი დოკუმენტები.<sup>213</sup> შესაბამისად, ფაქტიური სამუშაოების ამსახველ დოკუმენტებში<sup>214</sup> არ არის დაკონკრეტებული და შესაბამისად ვერ დგინდება თუ რომელ ქუჩაზე შესრულდა აღნიშნული სამუშაოები.

## კლდოვანი ფენის მოხსნა და გატანა

კლდოვანი ფენის მოხსნის და გატანის სამუშაოების შესყიდვაზე, სულ გაფორმებულია 12 ხელშეკრულება ღირებულებით 856.6 ათასი ლარი. მათ შორის გამარტივებული შესყიდვების საშუალებით 7 ხელშეკრულება ღირებულებით 487.3 ათასი ლარი, ხოლო ტენდერის საშუალებით 5 ხელშეკრულება ღირებულებით 369.3 ათასი ლარი.

<sup>208</sup> N010502/10/358, N 010502/10/358-1, N 2.1/30/172-1, N2.5/30/247-1

<sup>209</sup> 2013 წლის 15 აპრილის ხელშეკრულება N1.1.1/30/146, 2013 წლის 15 ივლისის N2.5/30/247-1, 2014 წლის 2 ივნისის N1,1/30/185

<sup>210</sup> საფასურის ან ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე

<sup>211</sup> N2.9.1/30/398, N2.9.1/30/397, N2.9.1/30/433

<sup>212</sup> 2014 წლის 1 აგვისტომდე შესრულებული

<sup>213</sup> შემსყიდველს წინასწარ უნდა ეცნობებინა მიმწოდებლისათვის“

<sup>214</sup> ფორმა N2

გამარტივებული შესყიდვების განხორციელების დროს სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ექსპერტიზის ან გეოლოგიური სამსახურის მიერ გაცემული დასკვნები ჩამოშლილი და ნაყარში გასატანი კლდოვანი მასის მოცულობების განსაზღვრის შესახებ. მოცულობების შეფასება ხდებოდა ვიზუალური დათვალიერების შედეგად, შესაბამისად ვერ მივიღეთ რწმუნება თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვებში ჩადებული გასატანი მოცულობის რაოდენობის შესახებ.

## შეუსრულებელი სამუშაოები

„ქ. თბილისის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის N1361 განკარგულების შესაბამისად ქ. თბილისის მასშტაბით არსებული გზების და მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე 2015 წლის ივლისის თვეში გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში<sup>215</sup> გამარჯვებულად შესაბამისად 5,298.0 ათასი ლარით და 5,477.0 ათასი ლარით გამოცხადებულია შპს „არენა მშენი“. აღნიშნულ კომპანიასთან 2015 წლის 17 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებების<sup>216</sup> შესაბამისად სამუშაოების დამთავრების ვადად ორივე შემთხვევაში განსაზღვრულია 2015 წლის 15 დეკემბერი. ხელშეკრულებების შესაბამისად შპს „არენა მშენი“ ვალდებული იყო სამუშაოები დაეწყო წერილობითი დავალების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში, უზრუნველყო ერთდროულად მინიმუმ 8 ობიექტზე მუშაობა და სამშენებლო სამუშაოების ადგილზე საჭიროებისამებრ უნდა ყოლოდა ტენდერის პირობებით განსაზღვრული მანქანა-მექანიზმები.

შპს „არენა მშენი“ მიერ ხელშეკრულებების შესაბამისად სულ ქალაქის მასშტაბით გზების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახით შესასრულებელი 10,775.0 ათასი ლარის სამუშაოებიდან 2015 წლის 28 ოქტომბრისათვის შესრულებულია მხოლოდ 4,217.3 ათასი ლარის სამუშაოები. აქედან ხელშეკრულებების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ხარისხის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებულია 210.9 ათასი ლარი<sup>217</sup>, 3,985.2 ათასი ლარის სამუშაოები ანაზღაურებულია მერიის მიერ.

ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შეუსრულებლობისა და შესრულების ვადებისა და პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 და 10.5 პუნქტის „ა“; „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად შპს „არენა მშენთან“ 2015 წლის 28 და 29 ოქტომბრიდან ცალმხრივად შეწყვეტილია ორივე ხელშეკრულება, ჩამოერთვა ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები<sup>218</sup> 538.8<sup>219</sup> ათასი ლარის ოდენობით და სამუშაოების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისათვის ჯარიმა-საურავების სახით დაეკისრა 1,086.1 ათასი ლარის გადახდა. აუდიტის პროცესში მერიის იურიდიული სამსახურიდან წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით ჯარიმა-საურავების სახით დარიცხული 1,086.1 ათასი ლარი კომპანია შპს „არენა მშენი“ მიერ გადახდილი არ არის.<sup>220</sup>

აუდიტით დადგინდა, რომ შპს „არენა მშენი“ დაფუძნებულია შპს „გზამშენი-4“-ის ბაზაზე, კერძოდ 2015 წლის 7 მაისიდან შპს „გზამშენი-4“-ს<sup>221</sup> შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „არენა მშენი“. შესაბამისად 2015 წლის ივლისის თვეში გამოცხადებულ ორივე ტენდერში<sup>222</sup> შპს „არენა მშენმა“ მონაწილეობა მიიღო და წარადგინა ერთი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული და

<sup>215</sup> თითოეულის სავარაუდო ღირებულება 6,000.0 ათასი ლარი

<sup>216</sup> N1.1.1/20/478 და N1.1.1/20/479

<sup>217</sup> შესრულებული სამუშაოების 5%

<sup>218</sup> ხელშეკრულების მე-9 მუხლის 6 პუნქტის შესაბამისად

<sup>219</sup> ჩამორიცხულია სს„ბანკი ქართუდან 2015 წლის 9 ნოემბერს სახაზინო კოდი300773287

<sup>220</sup> 2016 წლის 10 ივნისის წერილიN 10-17/29864

<sup>221</sup> საიდენტიფიკაციო ნომრის შეუცვლელად

<sup>222</sup> სავარაუდო ღირებულება ჯამში 12000.0 ათასი ლარი

მოთხოვნილი შპს „გზამშენი-4“-ის გამოცდილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დამადასტურებელი დოკუმენტები. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი<sup>223</sup> ამონაწერიდან დგინდება, რომ შპს „არენა მშენს“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებითა და თბილისის სააღსრულებლო ბიუროს გადაწყვეტილებით დაყადაღებული ჰქონდა მოძრავ-უძრავი ქონება, გააჩნდა გირავნობის ხელშეკრულება სს „ინტელექტბანკთან“ და სს „საქართველოს ბანკთან“, რეგისტრირებული იყო მოვალეთა რეესტრში და შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 19 მაისის შეტყობინებით<sup>224</sup> საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება გააჩნდა მთელ ქონებაზე.

ქ. თბილისის, ზაჰესის დასახლებასთან არსებული სარკინიგზო გზაგამტარის და ხიდი-აკვედუკის სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2014 წლის ნოემბერში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში<sup>225</sup> კონკურენციის გარეშე 4,462.0 ათასი ლარით გამარჯვებულია შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდი“. აღნიშნულ კომპანიასთან 2014 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>226</sup> შესაბამისად სამუშაოების დამთავრების ვადად განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 400 კალენდარული დღე. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღეში, შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული იყო წინასწარი ანგარიშსწორებით ხელშეკრულების არაუმეტეს 40%-ის გადახდა, საბანკო დაწესებულებიდან საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2015 წლის 4 თებერვლის, 2015 წლის 26 თებერვლის და 2015 წლის 2 მარტის წერილებით<sup>227</sup> კეთილმოწყობის სამსახურისთვის გადმოგზავნილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ SWIFT-ის საშუალებით „SUISSE CREDIT CAPITAL(2009) LIMITED LONDON GB“-ის გან მიღებული მერიის სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტიების შესახებ შეტყობინებების ასლები. აღნიშნული შეტყობინებების საფუძველზე შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდი“-სთვის“ ხელშეკრულების მე-7 პუნქტის საფუძველზე ავანსის სახით 2015 წლის 5 თებერვალს და 4 მარტს წინასწარი ანგარიშსწორებით<sup>228</sup> გადარიცხულია 1,784.8 ათასი ლარი.

ხელშეკრულებით<sup>229</sup> გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მერიის 2015 წლის 10 სექტემბრის წერილით<sup>230</sup>, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად 2015 წლის 10 სექტემბრიდან კომპანიასთან ცალმხრივად შეწყვეტილია ხელშეკრულება. აღნიშნულ კომპანიაზე ავანსის სახით გადარიცხული 1,784.8 ათასი ლარიდან ამ პერიოდისათვის შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით საბანკო გარანტის გამცემი ორგანიზაციიდან დაფარვას ექვემდებარებოდა 1,526.4 ათასი ლარი. გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისათვის ჯარიმა-საურავების სახით დარიცხულია 538.4 ათასი ლარი. მერიის საფინანსო სამსახურის 2015 წლის 28 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად დგინდება, რომ გარანტიის გამცემმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა მიზეზების გამო უარი განაცხადეს გარანტიებით გათვალისწინებული თანხების ჩამორიცხვაზე. მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის

<sup>223</sup> 2015 წლის 16 ივნისს გაცემული

<sup>224</sup> N0941943

<sup>225</sup> საჯარო დოკუმენტაცია 4484. 0 ათასი ლარი

<sup>226</sup> N 2.1/30/514

<sup>227</sup> N 18/9746, N 18/19937, N18/214440

<sup>228</sup> 5200 ლარის უკან დაბრუნების გათვალისწინებით

<sup>229</sup> N2.1/30/514

<sup>230</sup> N5/8517

წერილით<sup>231</sup> აღნიშნული მდგომარეობის ამსახველი მასალები გადაგზავნილია ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისთვის. დღეის მდგომარეობით საბანკო გარანტიების გამცემი ორგანიზაციებიდან 1,526.4 ათასი ლარის ჩამორიცხვისა და ჩამორიცხვასთან დაკავშირებით საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებების გატარების შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წერილის საფუძველზე, 2016 წლის 22 ივლისს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან გამოგზავნილი საქართველოს ეროვნული ბანკის 2015 წლის 15 აპრილის N2-05/1360-15 წერილით ირკვევა, რომ კომპანია „SUISSE CREDIT CAPITAL (2009) LIMITED LONDON GB“ არ წარმოადგენდა საბანკო დაწესებულებას. თუმცა, სახაზინო სამსახურიდან 2015 წლის თებერვალში მიღებულ ეროვნული ბანკის მიერ გამოგზავნილ წერილებში ამის შესახებ აღნიშნული არ იყო.

აუდიტის პროცესში მერიის იურიდიული სამსახურიდან წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით ჯარიმა-საურავების სახით კომპანია შპს „არენა მშენზე“ დარიცხული 1086.1 ათასი ლარი და კომპანია შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდზე“ დარიცხული 538.4 ათასი ლარი გადახდილი არ არის.<sup>232</sup>

### რეკომენდაცია

რისკების დაზღვევის მიზნით მიზანშეწონილია მიმწოდებლების მიერ საბანკო გარანტიები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ მაღალი სანდოობის საერთაშორისო ან საქართველოს კომერციული ბანკებიდან. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიების შემთხვევაში აღნიშნული საბანკო გარანტიების საფუძველზე წარმოადგენილი იქნას საქართველოში აკრედიტებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარში ვალიდურობა დადასტურებული კონტრგარანტიები.

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნიდან მუხათგვერდისაკენ გადასასვლელი ესტაკადის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვიაზე 2015 წლის მარტის თვეში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში <sup>233</sup> 2,189.0 ათასი ლარით გამარჯვებულად გამოცხადებულია და 2015 წლის 6 მაისს ხელშეკრულება <sup>234</sup> გაფორმებულია შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდთან“. ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში და დამთავრებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 210 კალენდარულ დღეში შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდის“ 2015 წლის 31 აგვისტოს N98 წერილის გათვალისწინებით კომპანიაში შექმნილი ფინანსური მდგომარეობის გამო მერიას, შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდსა“ და შპს „ზიმოს“ შორის 2015 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები <sup>235</sup> გადაცემულია მესამე პირისთვის - შპს „ზიმოს“თვის.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2015 წლის 1 მაისიდან 2016 წლის 10 სექტემბრამდე პერიოდში უნდა შესრულებულიყო სულ 1,351.0 ათასი ლარის სამუშაოები.

<sup>231</sup> N9/60090

<sup>232</sup> 2016 წლის 10 ივნისის წერილი N 10-17/29864

<sup>233</sup> სავარაუდო ღირებულება 2500.0 ათასი ლარი

<sup>234</sup> N 2.1/30/272

<sup>235</sup> ხელშეკრულების მე-14 მუხლის შესაბამისად

ფაქტიურად კი ამ პერიოდში შესრულებულია მხოლოდ 621.7 ათასი ლარის სამუშაოები. მერიასთან შეთანხმებული შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად სამუშაოების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული <sup>236</sup> საჯარიმო სანქციები არ გამოყენებულა, მაშინ როცა სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის ჩამორჩენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრებოდა ჯარიმის სახით 4.4 ათასი ლარის გადახდა.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდს“ მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა იმავე პერიოდში შესასრულებელი ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან 2014 წლის 21 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვაშლოვანში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად გათვალისწინებული 3,291.9 ათასი ლარის და 2014 წლის 3 დეკემბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების <sup>237</sup> შესაბამისად ფოთის სტადიონის რეაბილიტაციაზე 1,687.4 ათასი ლარის სამუშაოები. სულ 2014-2015 წლებში კომპანიის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 11,652.3 ათას ლარს. ოთხივე ობიექტზე გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდს“ წარმოსადგენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად სატენდერო დოკუმენტაციებში მითითებული აქვს ერთი და იგივე რაოდენობისა და სახის სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ტექნიკა და მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რაც თავისთავად წარმოშობდა რისკებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში და ხარისხიანად შესრულებაზე.

## რეკომენდაცია

პრეტენდენტის ქმედითუნარიანობის შეფასებისას, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების, სანდოობისა და შესასრულებელი სამუშაოების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებაზე რისკების დაზღვევის მიზნით, სატენდერო დოკუმენტაცია შედგეს იმგვარად, რომ მიღებული იქნას მტკიცებულებები პრეტენდენტს გააჩნია თუ არა გამოცხადებული ტენდერებით განსაზღვრული სამუშაოებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა, შრომითი რესურსი კვალიფიკაციური კადრების სახით, შეუძლია თუ არა ერთდროულად რამდენიმე ობიექტზე მუშაობა გრაფიკის შესაბამისად, გააჩნია თუ არა მას თანამშრომლების, სახელმწიფოსა და საკუთარი მიმწოდებლების მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური სახსრები, ასევე მიზანშეწონილი იქნება შემსყიდველმა მოიპოვოს მტკიცებულებები, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტების ლიკვიდაცია და გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება.

## მიწისქვეშა გადასასვლელები

ქ. თბილისში არსებული მიწისქვეშა გადასასვლელებისათვის სამეთვალყურეო სისტემების თანმდევი მომსახურებით მონტაჟი და ინსტალაცია-ინტეგრაცია შესყიდვაზე 2014 წლის მაისის თვეში გამოცხადებულ ტენდერში <sup>238</sup> გამარჯვებულია შპს „დელტა კომმი“. მერიასთან 2014 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების <sup>239</sup> შესაბამისად ევალეზობდა ქალაქის 55 მიწისქვეშა გადასასვლელებში 796.2 ათასი ლარის ღირებულების <sup>240</sup> სამეთვალყურეო სისტემების დამონტაჟება.

<sup>236</sup> მუხლი N9

<sup>237</sup> N 186

<sup>238</sup> სავარაუდო ღირებულება 1100.0 ათასი ლარი

<sup>239</sup> N2.8/30/222

<sup>240</sup> 2015 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების გათვალისწინებით

ხელშეკრულების შესაბამისად გათვალისწინებული იყო აპარატურის მიწოდება, შესაბამისი კომპიუტერული ქსელის საინსტალაციო სამუშაოების შესრულება მიწისქვეშა გადასასვლელების მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწოდებული აპარატურის ყველა ელემენტის ინსტალაციის ადგილას მიტანა, ადგილზე მონტაჟი, ლოკალურ ერთიან ქსელში ჩართვა, პროექტის ფარგლებში ინტეგრირებული სისტემების ტესტირება და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

ხელშეკრულების შესაბამისად სამეთვალყურეო სისტემების მიწოდება და მონტაჟი-ინსტალაცია უნდა განხორციელებულიყო 2014 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული 773.6 ათასი ლარის აპარატურა მიწოდებულია და დასაწყობებულია მერიის საწყობში 2014 წლის 20 ოქტომბერს.

აუდიტის პროცესში შპს „დელტა კომი“-დან გადმოგზავნილი, ხელშეკრულებების ფარგლებში მიწოდებული აპარატურის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით<sup>241</sup> დადგინდა, რომ ერთ ცალ ვიდეოკამერაში გადახდილია 563 ლარი, მერიისათვის კი მიწოდებულია 1295 ლარად. ფასნამატმა ერთ კამერაზე შეადგინა 732 ლარი (130%). მთლიანად მიწოდებულ რაოდენობაზე კი<sup>242</sup> ფასნამატი შეადგენს 87.8 ათას ლარს<sup>243</sup>. გარე გამოყენების ანტივანდალური იფორმატორის 42 დიაგნოზით შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 4258 ლარი, მიწოდებულია 7950 ლარად, ფასნამატი ერთ ცალზე შეადგენს 3692 ლარს ( 87%), მთლიანად მიწოდებულ რაოდენობაზე კი<sup>244</sup> 210.4 ათასი ლარს.<sup>245</sup> სულ ორივე პოზიციაზე ფასნამატმა შეადგინა 298.2 ათასი ლარი. აღნიშნულ მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადებისა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის დროს არ მომხდარა ფასების არსებული დონის შესწავლა შიდა ან/და საერთაშორისო ბაზრებზე. არაგონივრულად მაღალი სავარაუდო ღირებულებები კი იძლევა მაღალი ფასნამატების მიღების საშუალებას.

ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესში წარმოშობილი გაუთვალისწინებელი გარემოებების, კერძოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამონტაჟებული და დასამონტაჟებელი ვიდეოკამერებიდან გამავალი ვიდეოსიგნალის მონიტორინგის ჩაწერისათვის საჭირო თავისუფალი რესურსის, ნაკადის ჩასაწერად საჭირო სასერვერო აპარატურისა<sup>246</sup> და რიგ გადასასვლელებში ელექტროენერგიის არ არსებობის გამო 2014-2015 წლებში გაფორმებული შეთანხმებების<sup>247</sup> საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადა გაგრძელებულია ერთი წლით, რაც თავისთავად შესასრულებელი სამუშაოების შესყიდვის არასწორ დაგეგმარებაზე მიუთითებს. კერძოდ, სამეთვალყურეო სისტემისათვის საჭირო მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვამდე არ მომხდარა მიწისქვეშა გადასასვლელებში იმ დროისათვის არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი. კერძოდ იყო თუ არა გადასასვლელებში ელ. ენერგიის წყარო და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმება ნაკადის ჩასაწერად საჭირო სასერვერო აპარატურასთან დაკავშირებით.

აუდიტით დადგინდა, რომ 2014 წლის 20 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდში ქალაქის 47 მიწისქვეშა გადასასვლელებში<sup>248</sup> ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დამონტაჟებულია 700.0 ათასი ლარის ღირებულების სამეთვალყურეო სისტემა.<sup>249</sup> სამ მიწისქვეშა

<sup>241</sup> ინვოისები, საბაჟო დეკლარაციები.

<sup>242</sup> 120 ცალი

<sup>243</sup> 130%

<sup>244</sup> 57 ცალი

<sup>245</sup> 86.7%

<sup>246</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტიდან 2012 წლის 20 დეკემბერს მიღებული წერილის (N2597843) შესაბამისად ნაკადის ჩასაწერად საჭირო სასერვერო აპარატურის შესყიდვა 2015 წლის თუ რომელ კვარტალში განხორციელდება გაურკვეველია.

<sup>247</sup> 2014 წლის 29 სექტემბრის, 2014 წლის 29 დეკემბრის, 2015 წლის 31 მარტის, 2015 წლის 1 მაისის, 2015 წლის 29 ივლისის და 2015 წლის 10 ნოემბრის შეთანხმებები

<sup>248</sup> ნაცვლად 55 გადასასვლელისა

<sup>249</sup> აქედან კაბელებისა და ინსტალაციის ღირებულება შეადგენს 21.2 ათას ლარს

გადასავლელში აპარატურის დამონტაჟების საკითხი კონკრეტული მიზეზების დაუდგენლად ამოღებულია ტექნიკური დავალებიდან, ხოლო 5 მიწისქვეშა გადასასვლელში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა. დაუმონტაჟებელი (გამოუყენებელი) აპარატურის ღირებულებამ შეადგინა 96.2 ათასი ლარი.<sup>250</sup>

2014 წლის 11 ივლისს მერიასა და შპს „კოლოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების<sup>251</sup> შესაბამისად ქ. თბილისში ვაკის პარკის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელში ვერტიკალური ლიფტის და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელში ჰორიზონტალური ლიფტების მოწყობაზე 2014 წლის 19 დეკემბრიდან 2015 წლის 6 აპრილამდე პერიოდში შესრულებულია 148.3 ათასი ლარის სამუშაოები. 2014 წლის 21 მაისს, 12 ივნისს და 22 დეკემბერს შპს „ეი თი ვი“-თან, ი/მ მერაბ გულედანთან“, შპს „ირკ“-თან და შპს „ინჟინერთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების<sup>252</sup> შესაბამისად გადასასვლელების რეაბილიტაციის სამუშაოების ფარგლებში<sup>253</sup> რიგ მიწისქვეშა გადასასვლელში საპირფარეშოების მოწყობაზე გახარჯულია 24.1 ათასი ლარი.

ქალაქში არსებული გადასასვლელების ძირითადი ნაწილი ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი დადგენილებებით პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემული აქვს მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „უძრავი ქონება თბილისს“. შესყიდული სამეთვალყურეო სისტემის, ლიფტებისა და ტუალეტების შპს „უძრავი ქონება თბილისზე“-ზე გადაცემა და შესაბამისად მათ მოვლა-პატრონობაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის დანიშვნა არ განხორციელებულა.

აუდიტის პროცესში კეთილმოწყობის სამსახურისა და შპს „უძრავი ქონება თბილისი“-თანამშრომლებთან ერთად ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დღეის მდგომარეობით დამონტაჟებული ლიფტები და საპირფარეშოები საერთოდ არ ფუნქციონირებს, სამეთვალყურეო სისტემიდან კი ფუნქციონირებს მხოლოდ მცირე ნაწილი: კერძოდ 47 გადასასვლელში დამონტაჟებული 51 გარე გამოყენების ანტივანდალური ინფომონიტორიდან მუშაობდა მხოლოდ 13 ცალი, ასევე 47 გადასასვლელში დამონტაჟებული 100 ცალი ვიდეო კამერიდან 11 გადასასვლელში ფუნქციონირებს მხოლოდ 26 ცალი, ხოლო 21<sup>254</sup> ვიდეოკამერა საერთოდ ადგილზე არ აღმოჩნდა. აღნიშნული დასტურდება აგრეთვე აუდიტის პროცესში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტთან 2016 წლის 18 აპრილის გამოგზავნილი<sup>255</sup> წერილით. საპირფარეშოების არ ფუნქციონირების მიზეზად სახელდება აღნიშნულ გადასასვლელებში საკანალიზაციო ქსელის არ არსებობა, რაც შესასრულებელი სამუშაოების შესყიდვის არასწორ დაგეგმარებაზე მიუთითებს.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების შესაბამისად შესყიდული მატერიალური ფასეულობებისა და შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებადი სამეთვალყურეო სისტემის გათვალისწინებით არაეფექტურად გახარჯულმა თანხებმა სულ შეადგინა 831,6 ათასი<sup>256</sup> ლარი.

<sup>250</sup> აქედან 20 ცალი ვიდეოთვალი და 6 ცალი გარე გამოყენების ანტივანდალური ინფორმატორი

<sup>251</sup> N2.8./30/238-1

<sup>252</sup> N2.8/30/164-10, N 2.8/30/164-11, N 2.8/30/193-2 და N2.8/30/459

<sup>253</sup> სულ შესრულებული 178.2 ათასი ლარის სამუშაოებიდან

<sup>254</sup> აქედან დაიკარგა სტიქიის დროს, 4 მოხსნილია, მოპარულია 15 ცალი

<sup>255</sup> N -MIA 61600960720

<sup>256</sup> ჯამი არაფუნქციონირებადი მონიტორების, ვიდეოთვალის, ლიფტების და მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებული ტუალეტების (659180+148300+24100=831580)



## ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“

2013-2015 წლებში მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური ზედამხედველობა, კერძოდ კი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმება ევალება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიას“<sup>257</sup>. შესაბამისად შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით შედგენილი ფარული სამუშაოების აქტები და რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება და მის შედგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციას. სამუშაოების ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარება კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ხორციელდება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ მიერ დადასტურებული ფორმა N2-ების საფუძველზე.

აუდიტით დადგინდა, რომ მერიასა და შპს „ლაბორატორიას“ შორის 2007-2010 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ქ.თბილისში რეაბილიტირებული გზების საგზაო სამოსის მშენებლობის ხარისხის კონტროლის მიზნით გასაწევი მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების შესახებ შედგენილ ტექნიკურ დავალებაში გათვალისწინებული იყო:

- გზის საფარის გრძივი და განივი პროფილების შემოწმება პლანოგრაფისა და პროფილოგრაფის საშუალებით;
- საგზაო სამოსისა და საფუძვლის სკანირება „გეორადარის“ საშუალებით;
- მეორეხარისხოვანი გზების მთავარ ქუჩებთან მიერთების ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა;
- ბორდიურების სისწორის დადგენა როგორც ვერტიკალურ ასევე ჰორიზონტალურ სიბრტყეში და მათი შედარება საპროექტო მონაცემებთან;
- ტროტუარების სისწორის დადგენა;
- სანიაღვრე ჭების სათავისების სისწორის დადგენა სავალი ნაწილის ზედაპირთან მიმართებაში;
- ბიტუმის რაოდენობის, მარკისა და ხარისხის განსაზღვრა;
- მინერალური (ინერტული) მასალის რაოდენობისა და გრანულომეტრიის დადგენა;
- ასფალტობეტონის ზედა და ქვედა ფენების ურთიერთშეჭიდულობის განსაზღვრა ლოიტერნის მეთოდით.

2011-2014 წლებში სამშენებლო პროექტების ექსპერტიზის, მშენებლობის ზედამხედველობის და ლაბორატორიული კვლევის მომსახურების სახელწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებში და შესაბამისად აღნიშნულ შესყიდვებში გამარჯვებულ შპს „ლაბორატორიას“-თან გაფორმებული ხელშეკრულებების ტექნიკურ მოთხოვნებში კი კონკრეტულად ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესრულების შესახებ მონაცემები გათვალისწინებული არ არის.

2013-2015 წლებში კეთილმოწყობის სამსახურს დაქვემდებარებული პროგრამული ღონისძიებებით განსაზღვრულ სამუშაოებზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების აუდიტი არ განხორციელებულა, რამდენადაც აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისათვის საჭიროა აუდიტის ჩატარება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიაში“ ამ დარგების მცოდნე ექსპერტების მონაწილეობით.

კეთილმოწყობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დგინდება, რომ გზების მშენებლობა და აღდგენაზე<sup>258</sup> 2013-2015 წლებში მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განხორციელებულია გზებისა და ქუჩების მიმდინარე შეკეთებითი

<sup>257</sup> 2013-2014 წლებში შპს „ლაბორატორია“

<sup>258</sup> ორგანიზაციული კოდი 1.1.1.

სამუშაოები, დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ოპერატიული აღდგენა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები და ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, მაშინ როცა „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 3 ნოემბრის N1-1/1290 ბრძანების მე-3 მუხლის და „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის N172 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციით ქუჩების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები განსაზღვრული არ არის.

2013 წლიდან 2014 წლის მეორე ნახევრამდე<sup>259</sup> საგზაო სამუშაოების შესრულებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადად ყველა შემთხვევაში, როგორც მიმდინარე ასევე კაპიტალურ სამუშაოებზე აღებულია სამუშაოების დასრულებიდან 1 წელი.<sup>260</sup> ამ პერიოდის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეული იყო უხარისხოდ და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებული იყო აღმოეფხვრა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით. თუმცა აღნიშნული მოთხოვნის შესრულების უზრუნველსაყოფად კი მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით რაიმე სახის მექანიზმები გათვალისწინებული არ იყო.<sup>261</sup> 2013-2014 წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების შესაბამისად საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებლებზე პრეტენზიების წარდგენისა და შესაბამისად უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების საკუთარი ხარჯებით შესრულებაზე მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

ქალაქის მიწისქვეშა კომუნიკაციების აღდგენისა და რეაბილიტაციის დროს სხვადასხვა ორგანიზაციების<sup>262</sup> მიერ საავტომობილო გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების გადათხრაზე და შემდგომ დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის არსებული ნორმების შესაბამისად პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანაზე თანხმობას გაცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი -ქონების მართვის სააგენტო. სააგენტოს მიერ გაცემული გადაწყვეტილებების შესაბამისად ნებართვის მიმღებ ორგანიზაციებს სამუშაოების დამთავრებისთანავე ევალებათ დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის აღდგენა და სრული ნორმების დაცვით მისი პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, ხოლო სამუშაოს დამთავრებიდან ერთი წლის განმავლობაში აღდგენილი ასფალტობეტონის საფარის ჯდენის ან სხვა სახის ხარვეზის გამოვლენისას კი იგი გამოსწორებული უნდა იყოს განმცხადებლის ხარჯებით შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში.

აუდიტით დადგინდა, რომ მიწისქვეშა კომუნიკაციების მფლობელი ორგანიზაციების მიერ სამუშაოების ჩაბარება არ ხორციელდება საექსპერტო დასკვნებისა და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე. უმეტეს შემთხვევებში ახალი ქსელები მოწყობილია ანალოგიური სამუშაოების შესრულების სტანდარტების უგულებელყოფით, უხარისხოდ. შემსრულებლის მიერ რეაბილიტირებული ქუჩები ან ავარიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა არ აკმაყოფილებს მოქმედ სამშენებლო წესებსა და ნორმებს. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შედეგად კი ადგილი აქვს ასფალტ-ბეტონის საფარზე ჯდენებისა და დაზიანებების წარმოშობას, რაც აფერხებს სატრანსპორტო მოძრაობას, ქმნის ავარიულ სიტუაციებს. დაზიანებული ქსელების რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება იმაზე მეტი დროით ვიდრე საკმარისია დაზიანების აღმოფხვრისათვის. არ ხორციელდება წყალმომარაგების სისტემის სათანადო ექსპლუატაცია, შენახვა

<sup>259</sup> სექტემბრის თვიდან 3 წელი

<sup>260</sup> რაც შესრულებული სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე არამიზანშეწონილი იყო.

<sup>261</sup> 2014 წლის მეორე ნახევრიდან კი სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიმწოდებლის მხრიდან საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე დაკავებულია სახელშეკრულებო ღირებულების 2.5 %.

<sup>262</sup> (შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შპს „ყაზტრანგაზ თბილისი“, ს/ს „თელასი“, ს/ს „სილქნეტი“, შპს „კავკასუს ონლაინ“, ს/ს „ენერჯო-პრო ჯორჯია“, შპს „ახალი ქსელები“, შპს „დელტა კომში“ და სხვადასხვა სამშენებლო კომპანიები)

მომსახურება და შეცვლა, რაც გამოიხატება ქალაქის მასშტაბით ყველა უბანში ავარიების სიხშირით.<sup>263</sup> აღნიშნულის დამადასტურებელია აუდიტის მიმდინარეობის პროცესში კომისიური წესით ჩატარებული ქალაქის ქუჩებისა და ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილების ვიზუალური დათვალიერების შედეგები. კერძოდ ქალაქის თითქმის ყველა ქუჩაზე თუ ტროტუარზე შეიმჩნევა დაზიანებული ასფალტ-ბეტონის კვალი.<sup>264</sup>

2013-2015 წლებში ჩატარებული საგზაო სამუშაოების აუდიტით დადგინდა, რომ ქალაქში არსებული საკანალიზაციო და სასმელი წყლის გაყვანილობების ამორტიზირებულ მდგომარეობაში ყოფნის გამო ზოგ შემთხვევებში ადგილი აქვს აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე დასაქმებული კომპანიების მიერ სამუშაოების ჩაბარების ვადების რამოდენიმე თვით გადაწევის შემთხვევებს.

კომუნიკაციების მფლობელი ორგანიზაციების მიერ მათ ბალანსზე არსებული ქსელების რეაბილიტაციაზე და მშენებლობაზე ქალაქის მასშტაბით შესასრულებელი (დაგეგმილი) სამუშაოების შესახებ ინფორმაციები კეთილმოწყობის სამსახურისათვის ცნობილი არ არის.

უმეტეს შემთხვევებში ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების მიერ ახალი ქსელებისა მოწყობაზე და ავარიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დაცვით აღდგენაზე და შესრულებული სამუშაოების საექსპერტო დასკვნებისა და ლაბორატორიული კვლევების გათვალისწინებით მიღებაზე ვალდებულება და შესაბამისად კონტროლი მერიის მხრიდან გათვალისწინებული არ არის.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N245 და 2008 წლის 14 მაისის N323 განკარგულებების შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ თბილისის მთავრობასა და შპს „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესით<sup>265</sup> შპს „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედ“-თვის გადაცემულია შპს „თბილისის წყლის“<sup>266</sup> , შპს „რუსთაველკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“ და შპს „საქწყალკანალის“ 100%-იანი წილი.

აღნიშნული საინვესტიციო ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს აქტივების მართვა და შენარჩუნება „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ პირობების შესაბამისად, წყალმომარაგების სისტემის სათანადო ექსპლუატაცია, შენახვა, მომსახურება და შეცვლა რაც თავისთავად გულისხმობს შეინარჩუნოს ქალაქის მასშტაბით არსებული წყალმომარაგებისა და წყალარინელების ქსელის გამართული ფუნქციონირება, ავარიული და ამორტიზირებული ქსელების იდენტიფიცირება და მათი რეაბილიტაციის გეგმიური ღონისძიებების დაგეგმვა, ქსელის სრულფასოვანი ფუნქციონირება ექსპლუატაციისა და სამშენებლო წესებისა და ნორმების უპირობო და ზედმიწევნით შესრულებით. მყიდველი ვალდებული იყო ასევე მუნიციპალურ პროექტებზე სამუშაოების შესრულების დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტების განხორციელება.

კეთილმოწყობის სამსახურის 2015 წლის 9 დეკემბრის<sup>267</sup>, 2015 წლის 30 დეკემბრის<sup>268</sup> და 2016 წლის 18 მარტის<sup>269</sup> წერილების შესაბამისად შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ეცნობა კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2016 წელს კაპიტალურად შესაკეთებელი ქუჩების შესახებ და ეთხოვა წარმოედგინა

<sup>263</sup> ამის დამადასტურებელია კეთილმოწყობის სამსახურის მიერ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსზე“ მიწერილი წერილები და ქალაქის სხვადასხვა უბნებში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა.

<sup>264</sup> ამის მაგალითია კოსტავას ქუჩის ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილის გადათხრილი მონაკვეთი სპორტის სასახლიდან მერიამდე

<sup>265</sup> საპრივატიზაციო ღირებულება 80 011 208 აშშ დოლარი.

<sup>266</sup> შემდგომში შპს „თბილისის წყალი“ ( შპს „Georgian water and power“-GWP)

<sup>267</sup> N18/74492

<sup>268</sup> N18/89688

<sup>269</sup> N18/65960

ჩამოთვლილ ქუჩებზე მათ საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების მდგომარეობისა და განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ მონაცემები, რაც დღემდე წარმოდგენილი არ არის.

## რეკომენდაცია

მიზანშეწონილია ქალაქის მიწისქვეშა კომუნიკაციების აღდგენისა და რეაბილიტაციის დროს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ საავტომობილო გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების გადათხრის შემდგომ დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის არსებული ნორმების შესაბამისად პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანაზე წარმოდგენილი იქნას შესრულებელი სამუშაოების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საექსპერტო დასკვნებისა და ლაბორატორიული კვლევების სახით. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდ“ განესაზღვროს წყალმომარაგებისა და წყალარინელების ქსელების რეაბილიტაციის სავალდებულო საინვესტიციო გეგმა, რომლის უპირობო და ხარისხიანად შესრულებას დაგეგმილ ვადებში და მასშტაბებში კონტროლს გაუწევს თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურები.

## სავალდებულო ავანსები

2014 წლის მეოთხე კვარტალში გამოცხადებული ტენდერების<sup>270</sup> სატენდერო დოკუმენტაციაში და შესაბამისად გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, სახელშეკრულებო ღირებულების ანაზღაურების მუხლში წინასწარი ანგარიშსწორების შესაძლებელი გამოყენების ნაცვლად ჩადებულია წინასწარი ანგარიშსწორების სავალდებულო გამოყენების პირობა, საავანსო თანხის იდენტური, უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენით. სავალდებულო ავანსების პროცენტული ოდენობის დიაპაზონი შეადგენდა 50-100%-ს. სავალდებულო ავანსის სახით გადარიცხულმა თანხებმა ამ პერიოდში შეადგინა 7,618.8 ათასი ლარი<sup>271</sup>.

საბანკო დაწესებულებებიდან და სადაზღვევო კომპანიებიდან წინასწარი ანგარიშსწორების (სავანსო) გარანტიის აღება და წარმოდგენა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. სატენდერო წინადადებებში ავანსის სავალდებულო გამოყენების გათვალისწინება კი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის წარმოშობდა დამატებით ხარჯების გაწევის აუცილებლობას.

ქ. თბილისში გლდანის რაიონში არსებული გზების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2014 წლის 10 ოქტომბერს გამოცხადებულ სატენდერო დოკუმენტაციაში და ტენდერში გამარჯვებულ კომპანია შპს „ჰერიოსთან“ 2014 წლის 26 ნოემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში<sup>272</sup> წინასწარი ანგარიშსწორების სავალდებულო ავანსი გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%-მდე. აღნიშნულ კომპანიასთან 2014 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით წინასწარი ანგარიშსწორების ოდენობა ნაცვლად საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ისა განისაზღვრა 95%-ის ოდენობით. შესაბამისად 535.0 ათასი ლარის ნაცვლად 2014 წლის 24 დეკემბერს შპს „ჰერიოს“ წინასწარი ანგარიშსწორებით გადაერიცხა 1,016.5 ათასი ლარი. ხელშეკრულებებში საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილება არ იყო არგუმენტირებული და აღნიშნული ქმედებით არაკონკურენტული გარემო შეიქმნა იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებსაც ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ ჰქონდათ შესაძლებლობა სცოდნოდათ საავანსო ანგარიშსწორების არსებობისა და რაოდენობის შესახებ. აღნიშნული ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანსა და პრინციპს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი და ეფექტიანი კონკურენციის განვითარებასთან დაკავშირებით.

<sup>270</sup> 18 შემთხვევაში

<sup>271</sup> სახელშეკრულებო ღირებულება სულ 12,224.2 ათასი ლარი

<sup>272</sup> N 1.1.1/30/410- სახელშეკრულებო ღირებულება 1,070.0 ათასი ლარი

## ჯარიმა-საურავების დარიცხვა

2013-2015 წლებში კეთილმოწყობის სამსახურს დაქვემდებარებული პროგრამული ღონისძიებებით განსაზღვრულ სამუშაოებზე<sup>273</sup> გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ადგილი აქვს მიმწოდებელი კომპანიების დაჯარიმების შემთხვევებს.

2013 წლის რიგ ხელშეკრულებებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო თუ ადგილი ექნებოდა ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას პირგასამტეხლო შეადგენდა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს. აუდიტით დადგინდა, რომ 36 შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულებისა და შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებლები დაჯარიმებულია, მხოლოდ პირგასამტეხლოს სახით ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე. 2013 წელს მიმწოდებლებზე გაგზავნილი წერილების შესაბამისად პირგასამტეხლოს სახით დარიცხულმა თანხებმა შეადგინა 129,5 ათასი ლარი, მაშინ როცა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად დარიცხული უნდა ყოფილიყო 719.5 ათასი ლარი. აუდიტის პროცესში კომპანიებზე ჯარიმა-საურავების დარიცხვის, მათი გადახდისა და გადაუხდელობისათვის კომპანიებთან სამართლებრივი დავების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კომპანიებზე დარიცხული ჯარიმა-საურავები ბუღალტრულად ანგარიშზე „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“<sup>274</sup> აღრიცხული არ არის<sup>275</sup>.

2013-2014 წლებში საგზაო სამუშაოებზე<sup>276</sup> გამოცხადებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისად მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოების კონკრეტული ობიექტების მისამართები, პროექტები და შესრულების გეგმა-გრაფიკები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ეცნობებოდა მიმწოდებელს.<sup>277</sup> მაშინ როცა მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით გეგმა-გრაფიკის შესაბამისად სამუშაოების თავის დროულად შეუსრულებლობაზე გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სახის ჯარიმა-საურავები. სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკების და შესაბამისად კონკრეტულ ობიექტზე (ქუჩაზე) სამუშაოების დაწყების ვადის წერილობითი ფორმით არ შეტყობინების შემთხვევაში კი დაუდგენელია თუ როგორ შეიძლება მომხდარიყო სამუშაოების შესრულებაზე მიმდინარე კონტროლი და შესაბამისად სამუშაოების თავის დროულად შეუსრულებლობაზე გათვალისწინებული ჯარიმა-საურავების დარიცხვის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა.

## მატერიალური ფასეულობები

საფინანსო და კეთილმოწყობის სამსახურიდან წარმოდგენილი ინფორმაციების შესაბამისად მერიის საბალანსო მონაცემებით არსებული საბუღალტრო ანგარიშების მიხედვით მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურზე მიკუთვნებულია ისეთი სახის მატერიალური ფასეულობები, რომელთა ფაქტიურად არსებობის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა. მაგალითად სამსახურზე სხვა მატერიალური მარაგების ანგარიშის შესაბამისად<sup>278</sup> მიკუთვნებულია და 2016

<sup>273</sup> ორგანიზაციული კოდექსი 1.1.1, 2.1, 2.2, 07.01.02.03,2.9.1

<sup>274</sup> ანგარიში N 1354

<sup>275</sup> „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 1321 ბრძანების მე-13 მუხლის 25-ე პუნქტი

<sup>276</sup> ზოგადად კონკრეტული ქუჩების მითითების გარეშე გამოცხადებულ ტენდერებში

<sup>277</sup> თუ რა ფორმით (წერილობითი, სიტყვიერი) ეცნობებოდა მიმწოდებელს დაუდგენელია.

<sup>278</sup> N 1627

წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხება 2009-2010 წლებიდან წარმოშობილი 634.4 ათასი ლარის ღირებულების 2597.25 ტონა ტექნიკური მარილი, ნედლეული და მასალების ანგარიშზე<sup>279</sup> კი ირიცხება 2023 წლის 207.7 ათასი ლარის ღირებულების 70 და 150 ვატიანი გარე განათების სანათები და 5.9 ათასი ლარის ღირებულების 4.1 ტონა საგზაო ბიტუმი.<sup>280</sup>

კეთილმოწყობის სამსახურის 2015 წლის 31 მარტის წერილის<sup>281</sup> შესაბამისად კი დგინდება, რომ 2014 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, კეთილმოწყობის სამსახურზე, თვალჭრელიძის ქუჩა N9-ში მდებარე საწყობში ირიცხებოდა მხოლოდ 0.6 ათასი ლარის ღირებულების<sup>282</sup> 9 ტონა ტექნიკური მარილი.

საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N133 განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად<sup>283</sup> ქ. თბილისის მთავრობისთვის მიცემულია თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული 9 ტონა ტექნიკური მარილის და 11 ტონა წიდის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ კაპიტალში შეტანის განხორციელებაზე. აღნიშნული მატერიალური ფასეულობების გადაცემის შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.

### რეკომენდაცია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ბუღალტრულად რიცხული მოძრავი და უძრავი ქონების სავალდებულო ინვენტარიზაციის დროს დადგენილ იქნას კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურზე მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების რეალური მდგომარეობა.

### რეკომენდაციები:

1. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების ცალკეულ პოზიციებზე არაგონივრულად გაზრდილი ერთეულის ფასები თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია სატენდერო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოების თითოეული პოზიციის ზღვრული ღირებულებებით განფასება.
2. რამდენადაც ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს კეთილმოწყობის სამსახური, საბიუჯეტო თანხების რაციონალურად ხარჯვის მიზნით მიზანშეწონილია კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სამშენებლო, სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებების საექსპერტო მომსახურების პროცენტული მაჩვენებლები დადგინდეს „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N 171 დადგენილების შესაბამისად.
3. რისკების დაზღვევის მიზნით მიზანშეწონილია მიმწოდებლების მიერ საბანკო გარანტიები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ მაღალი სანდოობის საერთაშორისო ან საქართველოს კომერციული ბანკებიდან. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიების შემთხვევაში აღნიშნული საბანკო გარანტიების საფუძველზე წარმოდგენილი იქნას საქართველოში აკრედიტებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარში ვალიდურობა დადასტურებული კონტრგარანტიები.

<sup>279</sup> N1621








<sup>280</sup> მერიის 2015 წლის 8 ოქტომბრის N4025 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული მერიის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის შედეგებში, მარილის ზემოთაღნიშნული ნაშთის შესახებ მონაცემები მითითებული არ არის

<sup>281</sup> N08-18/15090381

<sup>282</sup> 2015 წლის 8 აპრილს შპს „როიალ აუდიტი“-ის მიერ შედგენილი ქონების შეფასების ანგარიშის მიხედვით

<sup>283</sup> ზემოთ აღნიშნული წერილის გათვალისწინებით

4. პრეტენდენტის ქმედითუნარიანობის შეფასებისას, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების, სანდოობისა და შესასრულებელი სამუშაოების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებაზე რისკების დაზღვევის მიზნით, სატენდერო დოკუმენტაცია შედგეს იმგვარად, რომ მიღებული იქნას მტკიცებულებები პრეტენდენტს გააჩნია თუ არა გამოცხადებული ტენდერებით განსაზღვრული სამუშაოებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა, შრომითი რესურსი კვალიფიკაციური კადრების სახით, შეუძლია თუ არა ერთდროულად რამდენიმე ობიექტზე მუშაობა გრაფიკის შესაბამისად, გააჩნია თუ არა მას თანამშრომლების, სახელმწიფოსა და საკუთარი მიმწოდებლების მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური სახსრები, ასევე მიზანშეწონილი იქნება შემსყიდველმა მოიპოვოს მტკიცებულებები, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტების ლიკვიდაცია და გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება.
5. მიზანშეწონილია ქალაქის მიწისქვეშა კომუნიკაციების აღდგენისა და რეაბილიტაციის დროს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ საავტომობილო გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების გადათხრის შემდგომ დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის არსებული ნორმების შესაბამისად პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანაზე წარმოდგენილი იქნას შესრულებელი სამუშაოების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საექსპერტო დასკვნებისა და ლაბორატორიული კვლევების სახით. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ განესაზღვროს წყალმომარაგებისა და წყალარინელების ქსელების რეაბილიტაციის სავალდებულო საინვესტიციო გეგმა, რომლის უპირობო და ხარისხიანად შესრულებას დაგეგმილ ვადებში და მასშტაბებში კონტროლს გაუწევს თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურები.
6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ბუღალტრულად რიცხული მოძრავი და უძრავი ქონების სავალდებულო ინვენტარიზაციის დროს დადგენილ იქნას კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურზე მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების რეალური მდგომარეობა.

წამყვანი აუდიტორი		მურმან დარახველიძე
უფროსი აუდიტორი		თენგიზ გურასაშვილი
უფროსი აუდიტორი		ლამა ჭანტურიშვილი
უფროსი აუდიტორი		პაპუნა ხოფერია
აუდიტორი		ბესიკ ფერაძე
აუდიტორი		გიორგი მშვილდაძე
აუდიტორი		გიორგი ჭოლოკავა